პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-2 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

დღიური

ამერიკაში: კამპანია საბჭოთა რუსეთის სცნობისათვის.

ოსმალეთში: ეკონომიური კონგრესი, [illegible] მოთხოვნილება, დამოუკიდებლობის პარტია.

რურის ოკუპაცია: უარის თქმა მუშაობაზე რკინისგზელებისაგან, ოკუპანტთა ძალადობა ბოხუმში, გელზენკირხენის ევაკუაცია, ფერადი ჯარების უკან გაწვევა, შეტაკებები რურში, ბანკების გაძარცვა, ინგლის საფრანგეთის მოლაპარაკება.

წითელი არმიის ხუთი წლის თავი: კომინტერნის მოწოდება, დღესასწაული სხვ დასხვა ქალაქებში.

№ 45 სამშაბათი, 27 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 45

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტი
წინადადებას აძლევს იაჩეიკებს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1. ქალაქ თბილისის და მაზრის კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენციის შედეგები.
2. მუშა ქალების საერთაშორისო დღე.

ტ. კ. მდივანი **მ. კახიანი.**

თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი
აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 28 თებერვალს, ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება კომიაჩეიკების ყველა მდივნების

თათბირი

პარტდისციპლინის წესით ყველა მდივნების დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი **რუბენი.**

თბილისის აღმასკომის სამდივნო

სთხოვს საბჭოს და აღმასკომის ყველა წევრებს

შემოიარონ სამდივნოში

საანკეტო ფურცლების

შესავსებათ და საწევრო წიგნაკების მისაღებათ საღამოს 5—8 საათამდე შემდეგი რიცხვებში:

1-ლი რაიონის დეპუტატებმა	27 და 28	თებერვალს
2-რე „ „	1 და 2	მარტს
3-მე „ „	3 და 5	„
4-ხე „ „	6 და 7	„
სამხედრო დეპუტატებმა	8 და 9	„

მაზრის წარმომადგენლებისათვის ყოველ დღე რიგს გარეშე.

კრ. 217—3—2

დღესასწაულის შემდეგ

ყველას ახსოვს, თუ როგორ ჩატარდა წრეულ ჩვენში 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) დღესასწაული. ეს არ ყოფილა დღესასწაული მარტო რევოლიუციონური პროლეტარიატის, მას ჰქონდა ჭეშმარიტად სახალხო ზეიმის ხასიათი.

არა ნაკლებ გრანდიოზული აღმოჩნდა აღნიშვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორი წლის თავის, აღნიშვნა იმ ისტორიულ დღის, როცა ჩვენი ქვეყანა ჩაება რევოლიუციის ტალღებში, როცა მან თავისი ბედი და მომავალი სამუდამოდ დაუკავშირა მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობას.

გუშინწინდელმა დღესასწაულმა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყოველი მიუდგომელი და პატიოსანი მოქალაქისათვის ზედმეტჯერ გახადა ცხადზე უცხადესი, რომ საბჭოთა ხელისუფლება ორგანიულად აქვს შესისხლხორცებული მთელ მშრომელ ხალხს, რომ ის სავსებით იწონებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას.

თბილისის ორგანიზაციულად დარაზმულმა მუშათა კლასმა გამოუკლებლად მიიღო დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობა.

მისი მწყობრი და უთვალავი რიგები გამოეფინენ დედა ქალაქის ქუჩებში. მათი, წარსული ბრძოლებით და გამარჯვებებით ამაყი, ამასთან მომავალშიც თავიანთი ბატონობის განმტკიცების ურყევი გადაწყვეტილებით აღბეჭდილი სახე სიხარულსა და იმედს ჰგვრიდა ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლს, ხოლო გულში ლახვარსა სცემდა ყველა იმათ, ვინც ისტორიის სამართალმა სანაგვეში გადისროლა.

ამ უკანასკნელებისათვის, პირველ ყოვლისა მენშევიკებისათვის ეს იყო სამგლოვიარო დღე. მათ ჰქონდათ გლოვის მიზეზი: ამ დღეს, ორი წლის წინედ, საქართველოს მშრომელ ხალხმა ალაგმა მათი განუკითხავი თარეში და თვით ჩაუდგა ძალა-უფლებას სათავეში.

უფრო აღსანიშნავი ის იყო, რომ მენშევიკების სამგლოვიარო განწყობილებას არავინ იზიარებდა. არ გასჭრა მათმა ორი წლის მუშაობამ, რომელიც იქითკენ იყო მიმართული, რომ 25 თებერვალი, მენშევიკების და ბურჟუაზიის ბატონობის დამხვრევის დღე, მოეჩვენებიათ ხალხისათვის, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის და მის მშრომელთა დამონების დღე.

ხალხმა კარგად გაუსინჯა კბილები ამ ვაჟბატონების პროვოკაცია-სიცრუეს და ზურგი შეაქცია.

თავისი პოზიცია საბჭოთა ხელისუფლებისადმი მან ბევრჯერ გამოააშკარავა ორი წლის განმავლობაში. ბოლო მისი განწყობილების სულ უკანასკნელი დემონსტრაცია მოხდა გუშინ წინ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორი წლის თავზე. ამ დღესასწაულმა ეჭვმიუტანლად ნათელყო, რომ 25 თებერვალი ჩვენ მუშათა კლასს და მთელ მშრომელ მასსას მიაჩნია თავის ჭეშმარიტ განთავისუფლების დღედ.

ორი წლის განმავლობაში მენშევიკები ყოველ გზა-ჯვარედინზე თავს აბეზრებდნენ ყველას და გაიძახოდნენ, რომ ქართველი ხალხი მხარს უჭერს მხოლოდ მათ, რომ ის წინააღმდეგია საბჭოთა ხელისუფლების; ეს იმას ნიშნავს, თითქო ჩვენი ხალხი რეაქციონური იყოს და რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლი.

ჩვენ იმ თავითვე იმ აზრისა ვიყავით და ვამბობდით, რომ ესაა საშინელი ცილისწამება ქართველ ხალხზე, რომ ის არ შეიძლება განზე გაუდგეს რევოლიუციას და საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც მისთვის ნამდვილი თავისუფლება და კეთილდღეობა მოაქვს.

და რომ ჩვენ მართალნი ვიყავით, ეს ბევრჯერ დამტკიცდა, ეს ერთხელ კიდევ ნათელყო განვლილმა დღესასწაულმაც.

საქართველოს მშრომელი ხალხი ჩვენთან არის, საბჭოთა ხელისუფლებასთან, კომუნისტურ პარტიასთან, და ამ კავშირსა და ერთობაშია მუშურ-გლეხურ რეჟიმის ძალა.

ამ ერთობამ, ხალხის თანაგრძნობამ და აქტიურმა შემოქმედებამ ცხოვრების ასაღორძინებლად საბჭოთა წყობილების პირობებში, ჩვენ შეგვაძლებინა იმ მოკლე დროში, ორი წლის განმავლობაში, რომელმაც განვლო საბჭოთა გადატრიალების მომენტიდან, და იმ მძიმე ობიექტიურ პირობებში, რომლებშიაც გვიხდებოდა მუშაობა,—მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა ცხოვრების მშენებლობის ყოველ დარგში.

მაგრამ აწი უფრო მეტია გასაკეთებელი, რთული ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი.

ხალხთან ხელიხელ ჩაკიდებული, მისი უშუალო ჩაბმით აღმშენებლობაში შევსძლებთ დაწყებულ მუშაობის წარმატებით გაგრძელებას და მშრომელთა ბატონობის უფრო განმტკიცებას.

ჩატარებული დღესასწაული ჩვენ დიდ ხალისს და ენერგიას გვმატებს აღმშენებლობითი მუშაობისათვის.

საზეიმო განწყობილების შემდეგ ჩვენ ისევ უბრუნდებით ყოველდღიურ საქმიანობას, მიმართულს მშრომელთა დიადი იდეალების განხორციელებისაკენ.

მძიმეა ეს გზა, შრომის სუფევის განხორციელება დიდ ჭაპან-წყვეტას და თავდადებას მოითხოვს,—მაგრამ მუშათა კლასის ნებისყოფა დაუშრეტელია, მისი ძალა უძლეველი, და ის მანამდე ვერ მოისვენებს, სანამ საბოლოოდ არ გაიმარჯვებს.

გადასახლების შესახებ

გადასახლების საქმე ძველი ამბავია. მას ჩვენ ყველგან ვხედებით, როგორც აზიაში, ისე ევროპაში; როგორც ნახევრად ველურ ქვეყნებში, ისე განათლებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. მაგალითებისთვის ჩვენ შორს არ მოგვიხდება წასვლა, თუ მოვიგონებთ ყოფილ იმპერიალისტურ რუსეთს, სადაც ამ მიზნებისთვის მთელი ორგანიზაციები იყვნენ შექმნილნი ცენტრით პეტროგრადში და მის განყოფილებებით იმპერიის სხვა და სხვა კუთხეებში; შესანიშნავია მათ შორის თბილისის განყოფილება (Переселенческое Управление), რომელმაც დიდი უნარი გამოიჩინა და სულ ცოტა ხანში დაამზადა არა ერთი ასეული საახალშენო მიწის ნაჭერი შავი ზღვის პირად, ბაქოს, განჯის, თბილისის და სხვა გუბერნიებში.

თუ გადასახლების საქმეს თვალს გადავავლებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მას ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა დასახული: სახელმწიფო საზღვრების გამაგრება და მკვიდრი მოსახლეობის გადაგვარება. ამიტომაც იყო, რომ სახელმწიფო ძალიან ცოტას ფიქრობდა გადასახლებულთა ბედზე, მათ ეკონომიურ და სხვა პირობების გაუმჯობესებაზე. გატაცებული შოვინისტური პოლიტიკით, ის მხოლოდ ერთის მოითხოვდა თავის ყურმოჭრილ ჩინოვნიკებისაგან: გადასახლების საქმის საჩქაროდ შესრულებას. ამ ჩინოვნიკებს კარგათ ესმოდათ, თუ რაში იყო საქმე და „პირნათლადაც" ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას: ასახლებდნენ ბედისგან განწირულთ, სადაც მოხვდებოდათ და როგორც მოხვდებოდათ. ასახლებდნენ ჭაობიან, დამპალ, გამოუსადეგარ ადგილებზე; ასახლებდნენ იქ, სადაც თვით მკვიდრი მოსახლეები შევიწროებულნი იყვნენ მიწის მხრივ. ყველამ ვიცით გადასახლების შედეგი: ეს არის —ათასობით და ათი-ათასობით ამოწყვეტილი ოჯახები მალიარიისაგან და სხვ. ავათმყოფობით. ჩვენ წინ დგას აგრეთვე სამწუხარო სურათი რევოლიუციონურ წლებიდან 1905-1917 წ. წ., როდესაც რუსის გლეხობა გროშის ფასზე ჰყიდიდა თავის ქონებას, სტოვებდა სახლ-კარს და გულგახეთქილი მირბოდა რუსეთისაკენ.

დღეს საბჭოთა რუსეთის აზროვნება უკეთებს ანგარიშს ამ არა სასურველ მოვლენას და მოითხოვს გადასახლების სრულიად მოსპობას. ამ აზრმა მმართველ სფეროშიც მოიპოვა თანაგრძნობა, და ჩვენ ვხედავთ, რომ მიწის ახალი კანონი თუ სულ ერთიანად არა სპობს გადასახლებას, ის ყოველ შემთხვევაში, მას მეტად აძნელებს. „**Переселение является свободным и добровольным, лишь в исключительных случаях губисполкомам предоставляется право об'являть принудительное переселение**" (Земельный Кодекс ст. 222).

მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ თუ მიწის მუშას ვერ მივეცით მიწა სამშობლო სოფელში, თავისუფალი მიწის იქ უქონლობის გამო, უნდა უარი უთხრათ მას მიწის მიცემაზე მეზობელ სოფელში ან სხვა რომელიმე მაზრაში, სრულიადაც არა. ჩვენ გადასახლებას უარვყოფთ მისი ძველი მიზნით და მეთოდით. ჩვენ გვინდა ვსთქვათ, რომ გადასახლება როგორც ასეთი არის ძველი საქმე იმ უარყოფითი მხარეებით, რომელზედაც ჩვენ ზევით მიუთითეთ. ჩვენ კი გვინდა სულ სხვა ახალი საქმის გაკეთება, რომელსაც გადასახლება არ გულისხმობდა. მართლა და ჩვენ ვნახეთ, რომ გადასახლებას სახეში ჰქონდა გაეტარებინა ცხოვრებაში კაცი-ჭამია პოლიტიკა, ჩვენ კი ვფიქრობთ უმიწაწყლო გლეხის ფეხზე დაყენებას. გადასახლებისთვის გლეხი იყო უბრალო მასალა, რის გამოც გადასახლება ხდებოდა სულ „ადვილათ", სულ უბრალოთ, აჩქარებით, როგორც მოხდებოდა და სადაც მოხდებოდა; ჩვენი გეგმით კი გადასახლება უნდა მოხდეს გლეხის სასარგებლოთ, მაშასადამე დიდის სიფრთხილით და მოფიქრებით, რომ ის არც მალიარიამ შეჭამოს და არც მკვიდრ მეზობლისთვის გადიქცეს თვალის ჩხირათ. როგორც ვხედავთ გადასახლების კითხვა უნდა გადაიქცეს კითხვად იმაზე, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ უმიწაწყლო და მცირე მიწაწყლის მქონე გლეხს, რომ მან თავისუფლად ამოისუნთქოს.

სამწუხაროთ ჩვენ ახალი ტერმინი არ მოგვეპოვება ამ ახალი აზრის გამოსახატად და ამიტომ იძულებული ვხდებით ვიხმაროთ სიტყვა „გადასახლება" მხოლოდ ახალის და არა ძველის მნიშვნელობით.

ამ კითხვის გადასაწყვეტათ არსებობს ორი გზა. პირველი და უმთავრესი გლეხობის მიწის საჭირო მინიმუმით (ნორმა) დაკმაყოფილება, მეორე—სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ინტენსიფიკაციის შემწეობით პაწია სასოფლო მეურნეობა ნაყოფიერების მხრივ სულ ადვილად გაუსწორდება საშუალო მეურნეობას. ეს გარემოება ჩააყენებს მცირე მიწაწყლის პატრონთა უმეტეს ნაწილს სასურველ კალაპოტში და მით გადასახლების კითხვას ერთი დიდი ლოდი მოეხსნება კისრიდან. ინტენსიფიკაციაზე ჩვენ აღარას ვიტყვით მეტს, მხოლოთ აღვნიშნავთ მწუხარებით, რომ დღევანდელს პირობებში ბევრი დაბრკოლებები გვაქვს გადასალახავი მის მისაღწევათ.

გვრჩება მაშასადამე პირველი გზა: უმიწაწყლოთა მიწით დაკმაყოფილება?

როგორ უნდა მოხდეს ეს?

ეს უნდა მოხდეს იმ აქტის შემწეობით, რომელსაც საერთოთ დასახული აქვს უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხობის მიწით დაკმაყოფილება ე. ი. მიწათ-მოწყობის შემწეობით მიწათ-მოწყობის პროცესში.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ გადასახლება ეს მიწათ-მოწყობის ერთი განსაკუთრებული შემთხვევაა.

როგორც ვხედავთ გადასახლებას მეტად სერიოზული მომენტი შეაქვს მიწათ-მოწყობის საქმეში; იგი უკანასკნელს წინ უყენებს მთელ რიგს სპეციალური კითხვებისას, რომელთა გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სპეციალისტების დახმარებით.

მართალია საჩოთიროა ეს რთული გზა რევოლიუციონურ ხანაში, მაგრამ მეტი გზა არ არის, თუ გვინდა თავიდან ავიცილოთ ის სამწუხარო შედეგები, რომელნიც მუდამ თან ახლდნენ იმპერიალისტურ გადასახლებას. მშრომელთა მთავრობა ვერ წაბაძავს იმპერიალისტების მაგალითს და ვერც იხელმძღვანელებს იმ მეთოდებით, რომლითაც უკანასკნელნი სარგებლობდნენ.

ნათქვამს ადასტურებს აგრეთვე მიწის განაწილების ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც ნათლადა სჩანს შემდეგი ცხრილიდან. *)

№№ რიგზე	მაზრების დასახელება	გლეხების მიწა დესეტინებში	კომლების რიცხვი	საშუალო ნორმა თანახმად კანონისა	საჭიროა მიწა დესეტინებში	აკლია დესეტინებში	თავისუფალი მიწა დესეტინებში	კომლების რიცხვი: გადასასახლებელია	კომლების რიცხვი: შეიძლება ჩასახლება
1	თბილისის . .	159.187	24.949	6,78	169.154	9,967	—	1.470	—
2	გორის. . .	159.845	31.837	5,37	170.963	11.120	—	2.071	—
3	დუშეთის . .	39.993	11.159	6,38	71.194	31.201	—	4.890	—
4	ბორჩალოსი .	115.108	18.428	6,83	125.863	10.755	—	1.575	—
5	ახალციხის . .	60.286	10.942	5,75	62.917	2.631	—	4.58	—
6	ახალქალაქის .	133.152	19.504	5,75	112.148	—	21.004	—	3.653
7	სიღნაღის . .	144.530	19.691	6,88	135 474	—	9.055	—	1.316
8	თელავის . .	42.046	17.793	7,00	124.551	82.505	—	11.786	—
9	თიანეთის . .	29.461	8.415	7,00	58.905	29.444	—	4.206	—
10	ბორჯომის . .	2.313	827	5,37	4.441	2.128	—	396	—
11	ქუთაისის . .	109.276	41.957	4,38	183.772	74.496	—	17.007	—
12	ოზურგეთის. .	32.879	18.210	4,38	79.760	46.881	—	10.703	—
13	სენაკის . .	63.196	23.728	4,38	103.929	40.733	—	9.300	—
14	ზუგდიდის . .	73.358	26.917	4,38	117.896	44.538	—	10.168	—
15	შორაპნის . .	81.927	34.670	4,38	151.855	69.928	—	15.965	—
16	რაჭის. . .	19.045	10.516	4,38	46.060	27.015	—	6.168	—
17	ლეჩხუმის . .	19.384	7.656	4,38	33.533	14.149	—	3.230	—
		1.284.986	327199	—	1.752.417	497491	30.060	99.393	4.969

ამ ცხრილიდგან როგორც სჩანს თავისუფალი, საახალშენოთ გამოსადეგი ადგილი მოიპოვება მხოლოთ ახალქალაქის და სიღნაღის მაზრებში სულ 30.060 დესიატინა, რაც დააკმაყოფილებს მხოლოდ 4969 კომლს. გადასასახლებელი კია 99393 კომლი, რისთვისაც საჭიროა 497.491 დესიატინა. რა გზით და სად ვიშოვნოთ ეს მიწა. საჭიროა შევნიშნოთ, რომ ციფრა 497.491 მაქსიმუმია, ვინაიდან იგი გულისხმობს ყველა კომლის ერთნაირად დაკმაყოფილებას, ნამდვილი ციფრი გაცილებით ნაკლები იქნება, მაგრამ ეს გარემოება საქმეს არსებითად არა სცვლის.

ვიმეორებთ, რა გზით მივაღწიოთ მიზანს?

მხოლოდ ერთია ცხადი, სახელდობრ ის, რომ ჩვენ წინ იშლება ათასგვარი კითხვები, რომელთა გადაჭრა მოითხოვს ყოველ სოფლის ცალკე შესწავლას სხვა და სხვა მხრივ, მათ ციფრებში გამოხატავს, ციფრების ანალიზს და სხ. რაც შესაძლებელია მხოლოდ მიწის მოწყობის პროცესში, როდესაც უკანასკნელს აწარმოებს ტეხნიკურის ცოდნით აღჭურვილი პირები მტკიცე ანგარიშის და წესების თანახმად.

მაგრამ ვთქვათ, რომ დრო არ ითმენს და თხოულობს კითხვის საჩქაროთ გადაწყვეტას. კანონიც ხელს გვიწყობს და ყოფილ მემამულეებისაგან მიღებულ ნორმების კონფისკაციას ახდენს. რა გავლენას მოახდენს ეს ახალი გარემოება საქმეზე?

ეს მხოლოდ შეასუმბუქებს საქმეს, ისიც იმდენათ, რამდენათაც ამა თუ იმ სოფელში მოიძებნება ყოფილი მემამულეს ნორმა, ხოლო რამდენათაც ამას ადგილი არ ექნება, იქ კითხვა ისევ კითხვათ დარჩება და ბოლოს იძულებული ვიქნებით მივმართოთ ზევით ნაჩვენებ რთულ, მაგრამ უტყუარ გზას.

გ. ჭ.

---

*) ცნობები მიღებულია „მიწათ მოწყობის განყოფილებიდან.

რადიო-დეპეშები

ჩიჩერინის ნოტა მოკავშირეებისადმი

მოსკოვი. 20 თებერვ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ჩიჩერინმა გაუგზავნა ნოტა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრებს მოკავშირეების მიერ მემელის საკითხის გადაწყვეტის შესახებ. ნოტაში აღნიშნულია, რომ რუსეთი და მისი მოკავშირეები არ იყვნენ დაშვებულნი იმ საკითხის განხილვის დროს, რომელიც ეხება ბალტიის ზღვაზე პოლიტიკურ წონასწორობას.

საბჭოთა რესპუბლიკების სატყეო მეურნეობა დამოკიდებულია ამ ოლქთან წყლით მიმოსვლის პირობებისა და მემელის ნავთ-სადგურის სარგებლობისაგან. ეს ნავთსადგური არის ერთად ერთი ბუნებრივი გასავალი რუსეთის ექსპორტისათვის. რუსეთის მთავრობა დაუშვებლად ხთვლის რუსეთის გარეშე მემელის მართვა-გამგეობას და შესაძლებლად მიაჩნია მართვა-გამგეობაში იმ სახელმწიფოების მონაწილეობის მიღება, რომელნიც მდგომარეობენ ნემანზე და მის შენაკადებზე. ნოტა იძლევა წინადადებას მოხდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამ საკითხის გარშემო.

რურის ოლქის ოკუპაცია

ფრანგები დაეპატრონენ.

ბერლინი. 26 თებ. დორტმუნდიდან იტყობინებიან, რომ ფრანგებმა მონსცენში სახელმწიფო სატრანსპორტო ბანკიდან რეკვიზიციის წესით გაიტანეს თორმეტი მილიარდი მარკა.

ფრანგების სისტემა.

ბერლინი. 26 თებ. ფრანგების მიერ დაკავებულ ოლქში ტარდება მუნიციპალიტეტების მეთაურთა დევნის და დაპატიმრების სისტემა, რაც იწვევს ქალაქის სამმართველოების მოქმედებათა შეწყვეტას. მთელი რურის ოლქი მიულგეიმის და გამბორნის გარდა დარჩა ობერ-ბურგომეისტრების გარეშე.

ცირკულიარი გადასახადების არ გადახდის შესახებ.

პარიზი. 26 თებ. გერმანიის პრესა იტყობინება, რომ გერმანიის მთავრობამ გამოსცა ცირკულიარი, რომელშიაც მრეწველებს და კომერსანტებს მოუწოდებს არ გადაუხადონ ფრანგებს გადასახადები, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფისკაციით ჩამოართმევენ მათ საქონელს და უძრავ ქონებას გერმანიის ტერიტორიაზე.

გაზ. „დეილი ტელეგრაფი" ფრანგების გეგმის შესახებ.

ბერლინი. 26 თებ. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლისის მთავრობას არ მოსვლია საფრანგეთიდან ირავითარი ოფიციალური ცნობა საფრანგეთის გაზეთებში გამოქვეყნებულ პროექტის შესახებ, რომ თითქოს არსდება მუდმივი მოკავშირეთა შორისო საბჭო ოკუპაციით დაკავებულ ოლქის მმართველ-გამგეობისათვის. გაზეთის აზრით, ასეთი აპარატის დაარსება ეწინააღმდეგება საფრანგეთ-ბელგიის რწმუნებას და იქნება აშკარა ანექსია. გაზეთი უარყოფს აგრეთვე საფრანგეთის განზრახვას თავზე მოახვიოს გერმანიას ახალი ხელშეკრულება, ინგლისის გარეშე, ვინაიდან ასეთი სეპარატიული შეთანხმებანი გააუქმებდა ვერსალის ხელშეკრულებას.

გაზ. „ფორვერტსი" ფიქრობს, რომ ბონაურ-ლოუს გაზეთის ასეთი განცხადება არის ინგლისის მმართველი წრეების მიერ ფრანგების ზრახვების გაკიცხვა.

ქალაქის წარმომადგენელთა დაპატიმრება.

ბერლინი. 26 თებ. ბოხუმში ფრანგების მიერ დაპატიმრებულია ბურგომისტრი, მუნიციპალიტეტის ოთხი მრჩეველი და ქალაქის 18 წარმომადგენელი.

მუშები არ მიდიან ოკუპანტებთან შეთანხმებაზე.

ბერლინი. რურის ოლქში ძლიერდება მოსახლეობის წინააღმდეგობა ფრანგებისა და ბელგიელების ღონისძიებებისადმი. ბონნის, დისბურგის და სხვა სადგურების რკინის გზელებმა უარყვეს ფრანგების წინადადება სამსახურში ხელახლად შესვლის შესახებ მიუხედავათ იმისა, რომ ფრანგებმა აღუთქვეს შრომის ხელფასის გარანტია. მუშებმა უარყვეს აგრეთვე საფრანგეთის ხელისუფლების წინადადება იმუშავენ: 30.000 მარკათ საათში ეს ცნობები დასტურდებიან ფრანგული წყაროებიდანაც.

ოკუპანტების ძალადობა ბოხუმში.

ბერლინი. 26 თებერვ. 23 თებერვალს ბოხუმის ცენტრი დაკავებულ იქნა საფრანგეთის ჯარის მნიშვნელოვანი ძალებით გზები დაკეტილია დაპატიმრებულია 600 კაცი. გაზეთებს დაუნიშნეს წინასწარი ცენზურა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების კრება. რომელმაც უარყო საოკუპაციო ხელისუფლების წინადადება საოკუპაციო ჯარის რეკვიზიციის გარეშე დატოვებულ საგნებით მომარაგების შესახებ, დათხოვნილ იქნა. მუნიციპალიტეტის წევრები თოფის კონდახების ცემით გარეკილ იქნენ. ქალაქის რატუშის შენობიდან იტყობინებიან ბოხუმის სავაჭრო პალატის შენობის სრულ გაცარცვის და განადგურების შესახებ. მუშათა კავშირებმა გამოაცხადეს გაფიცვა, რომელიც უკვე დაიწყო.

რატუშის დაკავება.

ბერლინი. 25 თებერვალი. გერნეში, მოსამსახურეთა მიერ საფრანგეთის ხელისუფლების ბრძანებათა შესრულებაზე უარის თქმის გამო დაკავებულ იქნა რატუშა.

მოსკოვი. 26 თებერვ. რურში გრძელდება შეტაკებები ოკუპანტებსა და მცხოვრებლებს შორის. ბოხუმში შეტაკებების დროს მრავალია მოკლული და დაჭრილი ორივე მხრიდან ქალაქში გამოცხადებულია საალყო წესები.

საპასპორტო სისტემა.

მოსკოვი. 26 თებერვ. დეგუტის განკარგულებით დაკავებულ ოლქებში შემოღებულია საპასპორტო სისტემა.

შავკანიანთა ჯარები.

მოსკოვი. 26 თებერვ. მტკიცდება ცნობა ფრანგების მიერ შავკანიანაჯარებით სარგებლობის შესახებ რურში.

გელზენკირხენის ევაკუაცია.

მოსკოვი. 26 თებერვ. გელზენკირხენში, 1000.000 მილ. მარკა ჯარიმას აკრების შემდეგ, ფრანგებმა დასცალეს ის გელზენკირხენის ევაკუაციის დროს, ფრანგებმა დააპატიმრეს და თან წაიყვანეს კომპარტიის მდივანი კერნერი, რომელსაც ბრალს სდებენ საფრანგეთის ჯარებს შორის პროპაგანდაში.

ინგლისის ზონით საფრანგეთის ჯარების გადაყვანა.

მოსკოვი. 26 თებერვ. ინგლისის მთავრობა პრინციპიალურად დათანხმდა რეინის ოლქში ბრიტანეთის ზონით საფრანგეთის ჯარის და სამხედრო მასალების გადაზიდვაზე, მხოლოთ განსაზღვრულ რაოდენობით.

ბოროტ-მოქმედებანი.

ბერლინი. 26 თებერვ. ფრანგების მიერ პოლიციის დაშლის გამო, ესენში მოხდა ბანკის გაძარცვა.

იტალია ეკონომიურ კავშირის წინააღმდეგ.

ბერლინი. 26 თებერვ. სტეფანის სამგენტო ამტკიცებს, რომ იტალია წინააღმდეგობას უწევს ფრანგების ცდას დასდონ ეკონომიური ხელშეკრულება რურის მაღაროების ექსპლოატაციის საწარმოებლად.

იტაცებენ ფულს.

ლონდონი. 26 თებერვ. საფრანგეთის ხელისუფლებამ კელნიდან ბერლინში მიმავალ მატარებელში 12.800.000 გერმანული მარკა დააკავა. ფული ბანკს ეკუთვნოდა.

საფრანგეთის შტრეიკბრეხერები.

პარიზი. 25 თებერ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ გერმანელ რკინის გზელთა მიერ დატოვებულ ადგილებზე ფრანგები მუშაობენ.

არ სურთ გამოტყდენ.

პარიზი. 26 თებერ. „ეკო დე პარი" უარყოფს „ბერლინელ ცეიტუნგში" მოთავსებულ ცნობებს, რომ საფრანგეთმა ბელგიასთან შეთანხმებით რურის საბოლოვო ანექსია გადასწყვიტა.

მუშები წინააღმდეგობას განაგრძობენ.

პარიზი. 26 თებერვ. ვიტტენში დატუსაღებულია ქალაქის ბურგომისტრი, რომელმაც არ დაემორჩილა საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებას. პროტესტის ნიშნათ ვიტტენის მუშებმა დაადგინეს განაგრძონ ოკუპანტებისადმი წინააღმდეგობა.

პარტიზანული ბრძოლა.

პარიზი. 26 თებერვ. „ტან"-ი იუწყება რომ კობლენც-მაინცის რკინის გზის ხაზზე ბევრს ადგილას ლიანდაგი მოშლილია.

ნახშირის კონფისკაცია.

პარიზი. 26 თებერვ. ვეენის სადგურზე ფრანგებმა კონფისკაცია უყვეს 70 ვაგონ ნახშირს, 33 ვაგონ ფოლადის ფაბრიკატებს და 9 ორთქლმავალს.

მოხალისეთა რაზმები.

რომი. 26 თებერვ. გაზეთების ცნობით, რურის ოკუპანტების წინააღმდეგ მოხალისეთა რაზმების ორგანიზაციამ გერმანიის რეიხსტაგში დიდი ინცინდენტი გამოიწვია, სამხედრო მინისტრი გეისლერი ამ ცნობის სიმართლეს უარყოფდა.

ვერ ბედავენ ოკუპაციის გაფართოვებას

რომი. 26 თებერვ. საფრანგეთის ოფიციალური ნოტა უარყოფს ცნობებს შესახებ ოკუპაციის გაფართოვებისა ელბერფელდის მიმართულებით.

გადასახლებით იმუქრებიან

ლონდონი. 26 თებერ. რურისა და რეინლანდის მთელი რკინის გზის სისტემა, გარდა ბრიტანეთის ხაზში მყოფ ხაზებისა, საოკუპაციო ხელისუფლებას ექვემდებარება. რკინის გზებზე დაყენებული იქნება 15,000 ფრანგი რკინის გზელი. გერმანელ რკინის გზელებს მიცემული აქვთ წინადადება ან დაემორჩილონ ფრანგების რეჟიმს ან დასტოვონ ოკუპაციის ტერიტორია.

ხუთი წლის თავი

ჟოშ: ალექსანდრეს ბაღში მშვიდობიან და უიარაღო მიტინგის დახვრეტა მენშევიკ-ესერების მიერ 1918წ. 23 თებერვალს:

მოგონება

„ალექსანდრეს ბაღი" ტფილისში—ისტორიულია.

ის ისტორიულია 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლიუციიდან. აქ „სტიქიურად" რევოლიუციონურმა ხალხმა, რომელსაც ემატებოდა იმპერიალისტური ომის დასაწყისიდან აუარებელი ჯარისკაცი (მრავალი ათიათასები) აღმოსავლეთის, კავკასიის ფრონტისა, მუშებისა, გლეხკაცებისა და სალდათების საბჭოებთან ერთად მოაწყო დიდი ტრიბუნა და მრავალი სკამებიც მრავალ მსმენელთა და ორატორებისათვის.

ეს იყო მარტ-აპრილ-მაის და ივნისის თვეებში ნამდვილი სკოლა, ცის ქვეშ გამართული თავისებური კლუბი საბრძოლველათ ამდგარ ხალხისათვის. აქ გამოდიოდენ ტრიბუნაზე ომის, რევოლიუციის და სხვა მწვავე საკითხების, უმეტესათ აგრარული საკითხის გასარკვევათ არა მარტო „ძველი", პროფესიონალური აგიტატორ-პროპაგანდისტები, არამედ მრავალი ახალი, სულ პირველად პოლიტიკურათ გამოჩეკილი, ენა-ადგმული ორატორები—მუშები და გლეხები, უმეტესად სალდათის „შინელებში" გამოხვეულნი.

აქ ეცნობოდენ და უპირდაპირებდნენ ერთი-მეორეს ყველა პარტიების პროგრამებს. ირკვეოდა ტაქტიკა, სტრატეგია ომისა და რევოლიუციისა. ქალაქის მუშა და სოფლის გლეხი ეცნობოდა აქ თავიანთ ჭეშმარიტ მტერ-მოყვარეთ.

აქ კადეტები, ესერები და მენშევიკები უნაყოფოთ ცდილობდენ (თუმცა მათ მრავალი „მოლაყბენი" ყავდათ თავიანთ ინტელიგენციიდან) პირველი და უკანასკნელი სიტყვა დარჩენოდათ და „ბოლშევიკ-ბლანკისტ-ანარქისტები" შესძულებოდათ მსმენელთ.

მაგრამ ყოველივე მათი ხრიკები და ფანდები, მუშტების გულზე რტყმევა და ფიცი თავის სიმართლესა და გულწრფელობაში, უნაყოფოთ რჩებოდათ. მათი „ენციკლოპედიური ცოდნა" და საბუთები, ისტორიულ-ლოლიკური თანდათანობითი განვითარების შესახებ ბუნებასა და ცხოვრებაში, იმსხვრეოდა ომისა და რევოლიუციის განვითარების დიალექტიკაზე, ერთი მხრით — იმპერიალისტური კაპიტალიზმი ბაზრების დასაპყრობათ და ორ-სამ დიდ სახელმწიფოთა მიერ მთელი დედამიწის თავიანთ კოლონიებად გადაქცევა და განაწილება, მეორე მხრივ—დიდი ყოფილი რუსეთის იმპერიის მრავალ ხალხების ეკონომიურ-კულტურული ჩამორჩენა და პოლიტიკური ჩაგვრა-დამონება—ყოველივე ეს პირდაპირ აყენებდა „**წყეულ საკითხებს**", რომელზედაც მხოლოდ ბოლშევიკები აძლევდენ მასსებს დამაკმაყოფილებელ პასუხს. ამიტომ მათ ხშირათ, მიტინგის გათავების შემდეგ, თავიან მხრებზე აყავდათ ყიჟინით და „**ბოლშევიკებს გაუმარჯოს**" ძახილით რამოდენიმე ჩვენი პარტიულ პროპაგანდისტ-აგიტატორები, როგორც, მაგალითად, საბრალო ამხ. ბოგდანოვი, (ბაქოს 26 კომუნარებიდან) ჩვენი „კავკასკი რაბოჩის" რედაქციის წინ ზოგჯერ შუაღამემდე, ისევ გრძელდებოდა მიტინგები და ჩვენი ორატორები, მათ შორის რამოდენიმეჯერ მეც, ვარკვევდით საკითხებს დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების შესახებ.

თავის-თავად ცხადია, რომ მაშინდელი გაბატონებული პარტიები: მენშევიკ-ესერები ამას ვერ მოითმენდენ, მარა იმავე დროს მათ ეშინოდათ, რომ ფრონტის ხალხი საბოლოოთ არ ჩამოშორებოდენ მათ. ცდილობდენ კი ალექსანდრეს ბაღის დაკეტვას, იქ მიტინგების შეწყვეტას.

ეს დროც დაუდგათ. ივლისის ცნობილმა გამოსვლებმა პეტროგრადში და კორნილოვის ისტორიამ მათ მისცა საშუალება უმტკივნელად წაეღოთ ბაღიდან ტრიბუნა და სკამები და ბოლოს თვით ბაღიც დაეკეტათ.

⁂

ამ სოციალ-მოღალატეებმა და ხალხის მატყუარებმა—აქაურმა ესერმენშევიკებმა სწრაფად მოახერხეს, თავიანთ რუსეთელ თანამოაზრებთან ერთათ, გადაქცეულიყვნენ თებერვლის რევოლიუციონერებიდან ოქტომბრის კონტრ-რევოლიუციონერებათ და მოქცეულიყვნენ იმპერიალისტების ბანაკში. მათ დაარღვიეს თავიანთ ომის ფრონტი მით, რომ კავკასია, შემდეგ ამიერ-კავკასია გამოჰყვეს რუსეთიდან, რომ კონტრ-რევოლიუციას და იმპერიალისტებს ეპოვათ „ბაზა" თავის ძალების შესაგროვებლათ. ამით მათ დააჩქარეს აქეთკენ სწრაფი მსვლელობა ჯერ გერმანიის და სულთანის ჯარების, რომელთაც მისცეს საშუალება მოესპოთ ბაქოს საბჭოს მთავრობა შაუმიან-ჯაფარიძის მეთაურობით. და სისხლის ღვრით გაატარეს აღმოსავლეთის ფრონტიდან დაბრუნებული რუსეთის სალდათები შამხორ-განჯის რაიონში.

აი, ამ დროს ქართველ მენშევიკებმა, ოპორტიუნისტებიდან რენეგატებიდან ამ ყველაზე უფრო საზიზღარმა ხალხმა, ჟორდანია-გეგეჭკორი-წერეთელი-ჩხეიძე-ჩხენკელი-რამიშვილების მეთაურობით, აზერბეიჯანის ბეგებთან („მუსსავატისტები") და სომხეთის დაშნაკელებთან კომისარიატი გადააქციეს სეიმათ. ჩამოაშორეს ამიერ-კავკასია რუსეთს.

უმრავლესობა სოფლის და ქალაქის მასსებს ჯერ ვერ გამოერკვიათ თუ ეს „ხალხი", მათი თითქოს მეგობარი-მენშევიკები,—ისე დაეცემოდენ, და უღალატებდენ მათ ნამდვილათ კი ეს ფაქტი იყო. მხოლოდ იმ საზიზღარ ფაქტის დამატებით, მათ სურდათ თავიანთი კალაპოტში მოექციათ ამდგარი ხალხი, მაგრამ ეს ვერ შესძლეს. საქართველოს სალდათები სხ. და სხვა ფრონტებიდან დაბრუნებულნი დაიქსაქსენ სოფლებსა და ყველა ქალაქებში. მათ მოჰყვათ სული ბოლშევიზმის სტიქიურად გავრცელების.

აი ესენი გახდენ უმეტესად პირველი მასსიური ბელადები იმ გამოსვლებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1918-19-20 წლებში მენშევიკების წინააღმდეგ...

23 (9-10) თებერვალს, სეიმის გახსნის დღეს, წინანდელ მიტინგების ადგილას ალექსანდრეს ბაღში შეიკრიბა მრავალი ხალხი ტფილისის რაიონებიდან. უმეტესი მათგანი ინსტიქტიურად გრძნობდა მომენტის სიდიადეს და მნიშვნელობას ამიერ-კავკასიის ყველა ხალხებისათვის.

ჩვენი პარტიული ამხანაგები არკვევდენ ტრიბუნიდან მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატისტების პოლიტიკას, საბჭოთა ხელისუფლების პერსპექტივებს. ყველა გამვლელ-გამომვლელნი ალექსანდროვის ბაღში ჩერდებოდენ და ურთდებოდენ მიტინგს. ის იყო, რასაკვირველია, უიარაღო, მშვიდობიანი, ჩვეულებრივი, თებერვლის რევოლიუციის ხანაში სხვა მრავალთა მიტინგების მსგავსი.

თავის თავად ცხადია, რომ არც მასსა და არც ჩვენი ამხანაგები არ მოელოდდენ არაფერს იმის მზგავსს მენშევიკებისაგანაც (იყო ასეთი ილიუზია მაშინ კიდევ ჩვენშიც) რაც მოხდა და ეს მით უფრო, რომ მიტინგი ლეგალურათ იყო მოწყობილი: ჩვენმა ამხანაგებმა, სერ. ქავთარაძემ და სხვებმა შეატყობინეს სასახლეში მენშევიკებს, რომ ისინი შეიკრიბენ მხოლოდ მშვიდობიან მიტინგზე. დასტურიც მიიღეს გეგეჭკორ-ჟორდანიასაგან.

ამიტომ, თავის-თავად ცხადია, რომ ჩვენმა ამხანაგებმა დაინახეს თუ არა მიტინგზე შეიარაღებული ერთი პროვოკატორი, დააკავეს და სასახლეში გაგზავნეს.

ამის შემდეგ მიტინგის ერთ მხარიდან (საპიორის ქუჩიდან) ბაღში გამოჩნდა კაი ძალი ჯგუფი „შინელებში" და წითელ დროშით... მიტინგის თავმჯდომარემ, ამხ. სერ. ქავთარაძემ დაამშვიდა მიტინგი. ეს მეგობრებია, ჩვენთან მოდიან „სალამისთვისო". მათაც თითქმის ისე ეჭირათ თავი, სანამ შორს იყვნენ და ირგვლივ არ შემოერტყნენ მშვიდობიან მიტინგს და ტყვიისფრქვეველები დაუშინეს.

ცამეტს იქვე გაუგმირეს გული და 35 დასჭრეს. მათ შორის რამდენიმე მალე გარდაიცვალა.

ეს იყო იარაღით შეტევის დაწყება მენშევიკ-ესერებისა და ყველა ნაციონალისტებისა ჩვენზე. მაგრამ მშიშარ პოლიტიკანებს, გეგეჭკორ-ჟორდანიას, ჯერ მაინც ეშინოდათ, აშკარათ ეღიარებინათ ეს.

ტრაღედია ალექსანდრეს ბაღში გათავდა გამოხმაურებით ქალაქის საბჭოში, სადაც მთელი წვრილ-ბურჟუაზიული ბლოკი დაშნაკ-ნაციონალდემოკრატებთან ერთად აუარებელი თანამგრძნობი, ხალხის დასწრებით სამარცხვინო ბოძზე მივაკარით „იუდის" სახელით... და ყოველივე და გასამართლება იურიდიულ-პოლიტიკური მათთან უარვყავით... დღიურ წესრიგში დადგა ხიშტი და ურთიერთ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის საკითხი. როგორც ვიცით, ეს ბრძოლა დათავდა საბოლოოთ 1921 წელს, 25 თებერვლის გადატრიალებითა და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებით, რომლის ორი წლის შესრულება ჩვენ ვიდღესასწაულეთ ამ დღეებში.

მიხა ცხაკაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულეების მიწები გლეხებს

ახალციხის, ბორჩალოს და ლეჩხუმის მაზრებში.

მიღებულია ახალი ცნობები ახალციხის, ბორჩალოს და ლეჩხუმის მაზრების ზოგიერთ რაიონებში მიწის რეფორმის გატარების შესახებ. ყველა ცნობები ადგილებიდან და აგრეთვე იმ ამხანაგებიდან, რომლებიც უშუალოდ ატარებდენ ამ რეფორმას, მოწმობენ იმას, თუ როგორი აღტაცებით და ენტუზიაზმით შეხვდენ ამ მაზრების ღარიბი გლეხები ცაკის დადგენილების ფეოდალური წესების სრული ლიკვიდაციის და ჩამორთმეულ მიწების ღარიბ და უმიწაწყლო გლეხებისათვის გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულ მაზრების გლეხობა ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას საადგილ-მამულო კომიტეტების შემადგენლობის იმ პირებით შეცვლაში, რომლებიც იცავენ საბჭოთა ხელისუფლების და ღარიბი გლეხების ინტერესებს, საადგილ-მამულო კომიტეტების შემადგენლობიდან აძევებდენ კულაკებს და სოციალურად მოწინააღმდეგე პირებს; ასე, მაგალითად,—ლეჩხუმის მაზრაში მიტინგზე გლეხობა ერთხმად მიემხრო მიტინგიდან გაძევებას მღვდლების და კულაკებისას, რომლებიც, აღნიშნავდენ ისინი,—„დღემდე გვჭყლეტდენ და გონებას გვიჩლუნგებდენ“.

ბორჩალოს მაზრაში გლეხობამ აშკარა სიხარულით გამოხატა თავისი კმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებით, მონური ურთიერთობისაგან და მენშევიკების ნაშთების—მღვდლების, კულაკების და კოლონისტებისაგან განთავი სოფლების გამო.

სოფელ კვეშში,—ბორჩალოს მაზრა—საადგილ-მამულო კომისიის თათბირის შემდეგ მშრომელებმა დაადგინეს ჩამოართვან მთელი მიწა, სახლი ბაღით პავლე მუხიგულაშვილს და ზაქარია ირაძეს, ვინაიდა ერთი მათგანი ვაჭრობს თბილისში, ხოლო მეორეს აქვს მუდმივი შემოსავლის წყარო, მიწის გარდა.

საერთოდ მიწის რეფორმის გატარება წარმოადგენს გარევოლიუციონერების ფაქტორს სოფელში, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ეს ზომა ეკონომიურად დააუძლურებს არა მშრომელ ელემენტებს, ხოლო მეორე მხრით, სავსებით უზრუნველყოფს გლეხობას მიწით.

რურის გარშემო

ოკუპაციის შედეგები.

ბერლინი. 26 თებერვ. საფრანგეთის ფოლადის მრეწველობის ოფიცალური ორგანო იტყობინება, რომ საფრანგეთის ლითონის წარმოებას 19 იანვრიდან დაწყებული არ მიუღია არც ერთი ტონა კოკსი გერმანიიდან, რის გამო საფრანგეთის აღნიშნული წარმოება 1 იანვრიდან შემცირდა 40 პროცენტით.

საყოველთაო გაფიცვები.

ბერლინი. 26 თებერვ. საფრანგეთის ტერორის საპროტესტოთ ტრედ-იუნიონებმა დაკავებულ რაიონებში გამოაცხადეს საერთო გაფიცვები, რომელიც დაიწყო შუადღეზე შაბათს.

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება.

ბერლინი, 26 თებერვალი. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად ინგლის-საფრანგეთის შორის მოლაპარაკება კელნის რკინის გზებით სარგებლობის შესახებ, ჯერ არ დამთავრებულა. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად ინგლისის მთავრობა წინააღმდეგია საფრანგეთის მოთხოვნილებისა ამ საკითხში.

თათბირი პარიზში.

მოსკოვი, 26 თებერვალი. „ტაიმს“-ის ცნობით საფრანგეთის და ბელგიის პრემიერების თათბირის მთავარი შედეგია გადაწყვეტილება საფრანგეთის მოთხოვნილებათა შემცირების შესახებ თუ გერმანიის წინააღმდეგობა შეწყდება.

პუანკარე იძლევა ახსნა-განმარტებას.

ბერლინი, 26 თებერვალი პარიზიდან იტყობინებიან, რომ პუანკარე ფიქრობს გამოვიდეს სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში ახსნა განმარტებით რურის ოკუპაციის საკითხის შესახებ. ახსნა განმარტება იქნება იმავე ხასიათის, როგორც პუანკარეს მიერ დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კამიაში წარდგენილი ახსნა-განმარტება.

ფერად ჯარების უკან დაბრუნება.

ბერლინი, 26 თებერვალი. ახალშენების ფერადი ჯარები, რომელნიც დაბანაკებულ იყვნენ რურის ოლქის 4 რაიონში, ფრანგებმა უკანვე დააბრუნეს 23 თებერვალს.

ნახშირის გატანის ახალი აკრძალვა.

ბერლინი, 26 თებერვალი. მიუნსტერიდან იტყობინებიან, რომ ფრანგების მიერ გამოცემულია ბრძანება ჰოლანდიაში გასატან ნახშირის აკრძალვის შესახებ. აგრეთვე დაკავებულია ნახშირი, რომელიც უნდა გაეტანათ იტალიაში.

ასკვიტი რურის შესახებ.

ლონდონი, 26 თებერვალი. ინგლისელ ლიბერალების ლიდერმა ასკვიტმა, გუშინ ულშაირში გამოსთქვა რურის საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის სასურველობა, ასკვიტმა კმაყოფილებით აღნიშნა, ინგლისის მთავრობის მიერ რურის საკითხში ჩაურევლობა. ამასთანავე მან არსებულ პირობებში საჭიროდ აღიარა შეერთებულ შტატების დახმარებისა და ერთა ლიგის ავტორიტეტისადმი მიმართვა. ასკვიტი ფიქრობს, რომ ამ გზით შესაძლებელია რურის საკითხის კეთილსასურველათ გადაწყვეტა.

ახლო აღმოსავლეთში

ეკონომიური კონგრესი სმირნაში

სმირნა. 24 თებერვ. მუშათა ჯგუფმა გადასწყვიტა გამოვიდეს ეკონომიურ კონგრესზე მოთხოვნილებებით მუშათა სასარგებლოდ. განზრახულია შემდეგი მოთხოვნილებები: 8 საათის სამუშაო დღე, გაფიცვების უფლება, მუშების მონაწილეობა მოგებაში და სხვა საკითხები. ვაჭართა ჯგუფი ფიქრობს მოთხოვოს უცხოელებისადმი კონცესიების გაუქმება. მრეწველები დაჟინებით მოითხოვენ შემოტანილ საქონელზე ბაჟის დადებას და შეღავათიან რკინის გზის ტარიფს.

ოსმალეთის უკანასკნელი დათმობა

ბერლინი. 26 თებერვ. ანგორის ცნობებით ოსმალეთის მთავრობა ფიქრობს გაუგზავნოს მოკავშირეებს ნოტა ოსმალეთის უკანასკნელი დათმობებით.

ბოლგარეთი და საბერძნეთი

პარიზი. 26 თებერვ. ბოლგარეთის სატელეგრაფო სააგენტო კატეგორიულად უარყოფს ცნობას საბერძნეთ-ბოლგარეთის საზღვარზე ბოლგარეთის ჯარების შეჯგუფების შესახებ.

დამოუკიდებლობის პარტია

პარიზი. 26 თებერვ. კონსტანტინეპოლის გაზეთები იტყობინებიან, რომ ოსმალეთში შესდგა ახალი პოლიტიკური ჯგუფი, სახელით დამოუკიდებლობის პარტია, რომლის რიცხვი თანდათან იზრდება. ჯგუფის პროგრამა უპირველესად ყოვლისა უარყოფს ყოველივე დათმობას ოსმალეთის მხრით მოკავშირეებისადმი და მოითხოვს ოსმალეთის სუვერენიტეტს.

იმედს ამყარებენ მდგომარეობის სიძნელეზე

პარიზი. 26 თებერვ. საფრანგეთის პრესა დარწმუნებულია, რომ საზავო ხელშეკრულების საკითხი გამოიწვევს დიდ დებატებს ანგორის ეროვნულ ყრილობაზე, მაგრამ ფიქრობს რომ ყრილობა ბოლოს და ბოლოს, ოსმალეთის პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის სიძნელის გამო, მიიღებს საზავო ხელშეკრულების პროექტს.

ინგლისში

დისპუტი კომუნიზმის შესახებ

მოსკოვი. 26 თებერვ. ინგლისის კომპარტიამ, კომუნისტური იდეების პროპაგანდის წარმოების მიზნით, გამართა ლონდონში საჯარო დისპუტი ნიუბოლდსა და ანტი-კომუნისტურ ორგანიზაციის „სამრეწველო ლიგის“ წარმომადგენლის ბეპას შორის. დის ფუტზე შეკრებილმა 2,000 მუშამ ოვაციები გაუმართა ნიუბოლდს. დისპუტი ეხებოდა, უმთავრესად, რუსეთის მიერ ხმარებულ მეთოდების გაკრიტიკებას და კომუნისტების გამარჯვებით დამთავრდა.

ვერსალის ხელშეკრულების „გასწორება“

ბერლინი. 26 თებერვ. „ტაიმს“-ის ცნობით პუანკარეს აზრად აქვს სრულიად ახალი საზავო ხელშეკრულების დადება, რათა გამოასწოროს ვერსალის ხელშეკრულების დეფექტები. გერმანიის გაზეთები ამბობენ, რომ იტალია და ბელგია მზათ არის ხელი მოაწეროს იმდაგვარ ხელშეკრულებაზე, რომელიც შექმნის მათ გეგემონიას ევროპის კონტინენტზე, თუმცა მთელი იტალიის პრესა ამხედრებულია იტალო-საფრანგეთის ეკონომიურ თანამშრომლობის რურის ექსპლოატაციაზე გავრცელების წინააღმდეგ.

გერმანია და რუსეთი

მოსკოვი. 26 თებ. გერმანიის პუბლიცისტი სტეფან გროსმანი, გაზეთ „ახტურ აბენდ ბლატში“ დაბეჭდილ წერილში ამბობს: „რურის ოკუპაციამ უნდა აიძულოს გერმანია დაამყაროს რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირი.

რუსეთის მიერ კერძო საკუთრების უარყოფა ამას ხელს არ შეუშლის, რადგან რუსეთი კი არა, საფრანგეთი ანგრევს წარმოებას და ეწევა ექსპროპრიაციას“. გროსმანს მოჰყავს ერთ ვესტფალიელ მემამულის სიტყვები: „თუ ფრანგებმა ჩვენ წაგვართვეს ძალა-უფლება და ქონება, ეს გამოიწვევს ერთნაირ წესწყობილების დამყარებას ესსენიდან ვლადივოსტოკამდე“.

ამერიკა და რუსეთი

მოსკოვი, 26 თებ. ამერიკის რესპუბლიკანურ პარტიის პროგრესის ჯგუფის გავლენიანმა წევრმა განუცხადა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს: „ადრე თუ გვიან შეერთებულმა შტატებმა უნდა გაიზიარომ სენატორ ბორის თვალსაზრისი და იცნონ საბჭოთა მთავრობაო“.

ყველა კრებებზე, სადაც ბორა და რომინსონი გამოდიოდენ, ამერიკის საზოგადოების ყველა კლასების წარმომადგენლები თანაგრძნობით შეხვდენ მოთხოვნას საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ.

მაგრამ გარდინგის მთავრობა არ იჩენს მიდრეკილებას უკუაგდოს არ ცნობის პოლიტიკა. სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობენ ე. წ. რუსი ექსპერტები, რომელნიც ურჩევენ მთავრობას ანტი საბჭოთა პოლიტიკის წარმოებას.

რობინონი ფიქრობს, რომ დღევანდელ მომენტში მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, გაცილებით მეტი შანსებია იმისა, რომ აღდგენილ იქნება ურთიერთობა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა რუსეთს შორის, ვინაიდან ამერიკის ყველა წრეებს კარგათ ესმით, რომ ევროპის ეკონომიური მოწყობა შეუძლებელია რუსეთის ბაზრის ძველი ფარგლების აღდგენის და საერთაშორისო საქონლის ბრუნვაში რუსეთის ნედლი მასალის ჩაბმის გარეშე.

საფრანგეთი და რუსეთი

მოსკოვი. 26 თებ. გაზ. „ეკო ნაციონალი“ იტყობინება, რომ საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტმა 20 თებერვლის სხდომაზე მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების განახლებას. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კაბინეტის ყველა წევრების მიერ, გარდა მილიერანისა.

გაზეთი „ენტრა სიჟანი“ ამტკიცებს, რომ ლაპარაკია ჯერ მხოლოდ ნახევრად ოფიციალურ კომისიაზე, რომელიც რუსეთში იგზავნება.

სხვადასხვა ამბები

ეკონომიური კონფერენცია ჰელსინგფორსში.

მოსკოვი. 26 თებერვ. პოლონეთმა, ლატვიამ და ესტონეთმა თანხმობა განაცხადეს მიიღონ მონაწილეობა ეკონომიურ კონფერენციაზე, რომელიც მოწვეული იქნება ჰელსინგფორსში 2 მარტი იმედოვნებენ, რომ კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ლიტვაც.

ლატვია და რუსეთი.

მოსკოვი. 36 თებერვალი. ლატვიის მთავრობამ მიმართა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს ნოტით, რომელშიაც წინადადებას იძლევა სულ ახლო მომავალში დასდონ სავაჭრო ხელშეკრულება და საელჩო კონვენცია.

პოლონეთი და ლიტვა,

პარიზი. 26 თებ. პასუხად ლიტვას ხელისუფლების მიერ პოლონეთის წარმომადგენელისადმი მიცემულ წინადადებისა მემელიდან მისი გასვლის შესახებ, პოლონეთის მთავრობამ პროტესტით მიმართა ელჩთა კონფერენციას.

პოლონეთის ნოტა

რომი. 26 თებერვ. პოლონეთის მთავრობამ ელჩთა კონფერენციას მიმართა ნოტით, რომელშიაც ითხოვს გამორკვეულ იქნას ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, პოლონეთისა და ლიტვის საზღვარი.

იტალია.

რეფორმისტები და ფაშისტები.

რომი. 26 თებ. მუსოლინიმ მიიღო რეფორმისტების დეპუტატი ბერარდინი, რომელმაც გამოსთქვა სურვილი ფაშისტებთან თანამშრომლობისა.

ესეც დღესასწაული.

პარიზი. 26 თებ. იტალიის მთავრობამ 24 მაისი—იტალიის მსოფლიო ომში ჩარევის წლის თავი—ეროვნულ დღესასწაულათ გამოაცხადა.

უნგრეთი

დუნაის წყალდიდობა

ჰანოვერი. 26 თებერ. პრესის ცნობით, დუნაის წყალდიდობით მოტანილი ზიანი ისაზღვრება 3 მილიარდ კრონას. წყალი თანდათან კლებულობს.

საფრანგეთი

პროლეტარული სოლიდარობა.

ბერლინი. 26 თებერვალი. საარის ყველა ტრედ-იუნიონებმა განაცხადეს თავისი სოლიდარობა გაფიცულ საარის მემაღაროებთან.

ირლანდია

სამოქალაქო ომი.

პარიზი. 26 თებერვალი. აჯანყებულთა ჯგუფები დღის სინათლისას დაეცენ ფოსტას და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს. მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რის შედეგში მოკლული იყო ორი მეამბოხე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

გლეხთა უპარტიო კონფერენციები.

მოსკოვი, 26 თებერვალი. ომსკის გუბერნიის საოლქო უპარტიო კონფერენციებზე მთავარი ყურადღება ექცეოდა თესვის კომპანიის, კოოპერაციის და სახალხო განათლების საკითხებს. კონფერენციების შემდეგ მრავალ ოლქებში დაიწყო გლეხთა ურთი-ერთ დახმარების კომიტეტების მუშაობა.

რუსეთი ჰელსინგფორსის გამოფენაზე.

მოსკოვი, 26 თებერვალი. პეტროგრადის სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციები მიიწვიეს ჰელსინგფორსის საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად.

ჩიჩერინის ნოტა პოლონეთ-ლიტვას კონფლიქტის გამო

მოსკოვი, 26 თებერვალი. პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია ჩიჩერინის ნოტა პოლონეთ-ლიტვას კონფლიქტის გამო. გაზეთებმა, გაიგეს რა ბერლინის პრესიდან ნოტის შესახებ, გადმობეჭდეს ზოგიერთი ადგილები. გაზეთები გამოსთქვამენ აღშფოთებას პოლონეთის გარეშე საქმ. სამინისტროს მიერ რუსეთის ნოტას მიჩქმალვის გამო. გაზეთები ხაზს უსვამენ რუსეთის მშვიდობიან ზრახვებს.

წითელი არმიის ხუთი წლის თავი

მოსკოვი. 26 თებ. კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტმა მიმართა წითელ არმიას მისალმებით, რომელშიც ნათქვამია: „ექსპლოატატორების მთელ ქვეყანას ეზიზღებით თქვენ, წითელი არმიის მხედრებო. მაგრამ ის ცახცახებს თქვენს წინაშე, რადგან იცის, რომ თქვენ მზათა ხართ დაიცვათ პროლეტარული რევოლიუცია ყველა ქვეყნებში და რომ თქვენ ხართ საერთაშორისო პროლეტარიატის რაზმი. დიდის სიყვარულით და პატივისცემით წარმოსთქვამენ თქვენს სახელს ყველა ქვეყნების დაჩაგრული მუშები და მთელი მსოფლიოს დაბეჩავებული ხალხი. მათ აქვთ იმედი, რომ დადგება დღე, როდესაც იმათ ქვეყნებშიც გაიზრდებიან წითელი მხედრების რიგები და დაამარცხებენ კაპიტალის ბატონობას მთელ მსოფლიოში. დეე თქვენი არსებობის მეექვსე წელი, როდესაც მსოფლიოზე ხელახლად იკუმშება სამხედრო ღრუბლები, იქნეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა და წითელი არმიის შორის ძმური კავშირის უფრო განმტკიცების წლად. დეე, გაძლიერდეს შეგნებული მტკიცე კავშირი წითელი არმიის მხედრებსა და მათ ხელმძღვანელთა შორის. დეე ამაღლდეს და განმტკიცდეს მზადება, წვრთნა და მზათყოფნა ყოველ მომენტში პასუხი გასცეს პროლეტარულ რევოლიუციის და საბჭოთა რესპუბლიკის მტრებს, რომელნიც ემზადებიან მათზე თავდასხმისათვის“.

ხარკოვში წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღესასწაული ჩატარდა დიდის აღფრთოვანებით. ახალგაზრდა წითელ არმიელებმა მიიღეს ფიცი.

რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდან იტყობინებიან, რომ წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღესასწაული ჩატარდა დიდის აღფრთოვანებით.

22 თებერვალს საღამოს შესდგა მოგონებათა საღამოები, მოხსენებები და სპექტაკლები. ქალაქის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომებზე, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებში პატივს სცემდენ წითელ არმიელებს. 23 თებერვალს შესდგა წითელი არმიის პატივსაცემად საზეიმო აღლუმები და მანიფესტაციები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდენ მუშები და გლეხები. აღლუმები თავდებოდა დროშების ჩაბარებით და ფიცის მიღებით. არმიის გმირებს დაურიგდათ საჩუქრები. უმეტეს ქალაქებში დაწესებულებებმა და წარმოებებმა დაურიგა გარნიზონებს საჩუქრები. შეფებმა მიიღეს ზომები წითელ არმიელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რიაზანში მარინის ფაბრიკის დელეგაციამ ჩაიტანა წითელ არმიელთათვის საჩუქრად თავისი წარმოების მაუდი.

ურალსკიდან, სამარიდან, სტავროპოლიდან, ნადეჟდინსკიდან, ბელგოროდიდან, გომელიდან, ვიატკიდან და ნოვგოროდიდან იტყობინებიან წითელი არმიის იუბილეს დღესასწაულის შესახებ. ყველგან შეფებმა გადადეს დიდძალი ფული წითელ არმიელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შეაკეთეს ყაზარმები, მიაწოდეს წითელ არმიელებს სურსათი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და საჩუქრები.

კომინტერნში

საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში.

ამ ხანებში დეპარტამენტებში შესდგა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის საოლქო კონფერენციები.

სულ—ასეთი საოლქო ყრილობები გაიმართა—50. დღიურ წესრიგში, უმთავრესად კომინტერნის უკანასკნელ კონგრესის დადგენილებანი იდგა. **ეს დადგენილებები საყოველთაოთ და ერთხმათ იყო მოწონებული, რაც საუკეთესოთ აბათილებს ხმებს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის მძიმე კრიზისის შესახებ.** არის მხოლოთ ორი გამონაკლისი ამ საერთო წესიდან დრომის ოლქში—პარტიიდან გამორიცხულ ბლანის ციხე-სიმაგრეში—51 ხმით 24-ის წინააღმდეგ—თავი შეიკავა 21-მა—მიღებული იყო კომინტერნის კონგრესის დადგენილებათა წინააღმდეგი რეზოლიუცია. აგრეთვე სენ-ეტიენში, პარტიიდან გამორიცხულ ლაფონისა და ფორის სამშობლოში, ლუარის ოლქის კონფერენციაზე, კომინტერნის დადგენილებათა გამო მოხდა ცხარე შეტაკება, მაგრამ აქ ბოლოს და ბოლოს კონფერენციამ დაადასტურა ლაფონისა და ფორის გამორიცხვა კომუნისტურ პარტიიდან. საოლქო კონფერენციებზე, გარდა ამისა განხილული იყო ის საკითხები, რომლებიც პარტიის ეროვნულ საბჭოს კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა. ეს საკითხები დღის წესრიგში დააყენა საფრანგეთის რეაქციონურმა მოძრაობამ და პუანკარეს მთავრობის მიერ კომუნისტების დევნამ. საფრანგეთის კომპარტიის ც. კ—ში შემოსულ ცნობებში აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებით პარტიის პოლიტიკის შესახებ გამეფებულია სრული თანხმობა და ყოველგვარ კრიზისის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია. თუ საფრანგეთის კომპარტიაში კიდეც ყოფილიყო როგორიმე უთანხმოება, ყოველ შემთხვევაში ის სრულიათ გაქრა იმ საშიშროების წინაშე, რომელსაც პარტიისათვის და მთელი მუშათა მოძრაობისათვის წარმოადგენს პუანკარეს მთავრობისა და მისი რეაქციონურ მოსამსახურეთა დევნა.

განსაკუთრებით პრესსის იმ ორგანოების რეაქციონურმა სისინმა, რომლებიც იცავენ და მხარს უჭერენ პუანკარეს, ძლიერ შეუწყო ხელი კომუნისტურ პარტიას განევითარებინა მუშაობა მასიურ კრებებისა და დემონსტრაციების ორგანიზაციის მიმართულებით და უკანასკნელებს რეაქციონურ თავდასხმისაგან სამარ თავდაცვის ხასიათი მისცა

სწორეთ აგრეთვე პროფკავშირებშიაც კომუნისტურ პარტიის მუშაობა მოახლოებულ რეაქციასთან ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ მიმდინარეობს და ამ გვარად პუანკარეს მთავრობის კამპანიამ დიდი სამსახური გაუწია კომუნისტურ პარტიას, რომელიც რურის კამპანიამდე მართლაც განიცდიდა ცოტაოდენ სისუსტეს.

25 თებერვლის დღესასწაული ტფილისში

აღლუმის დაწყებამდე.

დილიდანვე მზიანი ამინდი დადგა, როგორც დღესასწაულს შეეფერის.

დილიდანვე რუსთაველის პროსპექტი ივსებოდა ხალხით. გამოვიდენ არა მარტო ისინი, ვინც მართლადაც თავის დღესასწაულად სთვლიდა 25 თებერვალს,—არამედ ისინიც, რომელთაც მხოლოდ სანახაობა აინტერესებდათ.

10 საათისათვის რუსთაველის პროსპექტზე დაიწყო დენა მუშათა ორგანიზაციებმა წითელი დროშებით და პლაკატებით. გამოჩნდა საბარგო ავტომობილები ბავშვებით. გაიარეს შკოლებმა და არმიის ნაწილებმა.

12 საათისათვის პროსპექტი ხალხით იყო გაჭედილი. ხალხი გამწკრივებული იყო სასახლიდან ლენინის ქუჩამდე.

თვით რუსთაველის პროსპექტზე ფრიალებენ წითელი დროშები თავისუფალი ხალხის და წითელი არმიის.

აღლუმი.

ნაშუადღევის 1 საათზე სასახლიდან გამოდიან ამხანაგების ჯგუფი, რომელთა შორის იმყოფებიან ამხ. ცხაკაია, ეგოროვი, ელიავა, ორახელაშვილი, იაკუბოვი, ამბარცუმიანი, კუპაიძე, დუმბაძე და სხვ.

იწყება ნაწილების დათვალიერება. მარჯვენა ფრთაზე დაწყობილი არიან წითელი დროშის ორდენის კავალერები.

„გილოცავთ ჩვენი ძლევა-მოსილი წითელი არმიის 5 წლის თავს და საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავს“—იწყებს ეგოროვი. ნაწილები ერთსულოვანი „ურა“-თი ეგებებიან ამ მილოცვას.

ბავშვები მხიარულად უპასუხებენ ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმებაზე. გაუსწორდენ საქართველოს ახაგაზრდობის კომკავშირის ცეკას შენობას, საიდანაც ისმის ხმები:

„გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

ფიცის მიღება.

დათვალიერება გათავდა და უკან დაბრუნებისას 3 ადგილას მოხდა ახალგაზრდა წითელ-არმიელთა ფიცის მიღება.

აი ავტომობილში გამოჩნდა ამხ. მიხა ცხაკაია და მის გვერდათ ამხ. ეგოროვი. ორივე დგანან.

ამხ. ცხაკაია აქვეყნებს ფიცის ტექსტს ქართულ ენაზე, საქართველოს ახალგაზრდა წითელ არმიელებისათვის. ავტომობილს გარშემო დგანან წითელ-არმიელები, იჭერენ თვითეულ სიტყვას და მზად არიან თავის მხრივ აღუთქვან ერთგული სამსახური პროლეტარულ რევოლიუციის საკეთილდღეოთ:

1. მე, შვილი მშრომელი ხალხისა, მოქალაქე საბჭოთა რესპუბლიკის, ვიღებ სახელწოდებას მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქრის მეომარისა.

2. საბჭოთა რესპუბლიკების და მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე მე ვალდებული ვარ ვატარო ეს სახელი პატიოსნად, კეთილსინდისიერად შევისწავლო სამხედრო ხელოვნება და, ვითარცა თვალის ჩინს, უპატრონო და შევინახო სახალხო და სამხედრო ქონება ზიან-გაფლანგვისაგან.

3. მე ვივალდებულებ რევოლიუციონურ დისციპლინის სწორუცვლელ დაცვას და მუშურ-გლეხურ მთავრობის მიერ დანიშნულ უფროსების ბრძანებათა განურიდებელ აღსრულებას.

4. მე ვივალდებულებ თავი შევიკავო და ავარიდო ამხანაგები ყოველგვარ საქციელს, რემელიც სცემს ღირსებას საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქისა, და მთელი ჩემი არსებით, აზრით და მოქმედებით ვემსახურო მშრომელთ განთავისუფლების დიად მიზანს.

5. მე ვალდებული ვარ მუშურ-გლეხურ მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე გამოვიდე საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის სადარაჯოზე ყოველგვარ განზრახვისა საწინააღმდეგოთ მის მტერთა მხრივ და მედგარ ბრძოლაში საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, სოციალიზმის და ხალხთა ძმობა-ერთობისათვის არ დავიშურო არც ძალა-უნარი ჩემი და არცა თვით სიცოცხლე.

6. და თუ ბოროტ განზრახვით განუდგები ამ ჩემს საზეიმო აღთქმას, დეე, მაშინ ხვედრი ჩემი შეიქმნეს ზიზღი ყოველთა მხრივ და დეე, დავისაჯო მე მაშინ რევოლიუციონურ კანონის სამართლიან და მკაცრი ხელით.

„მე მშრომელი ხალხის შვილი“... ისმის სიტყვები და მართლაც, ხედავ რომ მშრომელი ხალხის შვილი იღებს ფიცს.

და ეჭვს გარეშეა წითელი არმიელები შეისწავლიან სამხედრო ხელოვნებას და თუ საჭირო იქნება გულმკერდით დაიცავენ ხალხის ინტერესებს.

ფიცის მიღება [illegible] ამხ. ცხაკაიას, [illegible] ბერის თანდასწრებით.

კურს დამთავრებულთა წით მიელთა უნივერსიტეტის შვება.

ამხ. მიხა ცხაკაიამ მიმა
წითელ არმიელების უნივერ
კურსელებს, სთქვა: „თქვენი
დიდია. თქვენ ის ფერმენტ
რომელიც გადაამუშავებს კა
ბასო“.

ამხ. ვრაჩევი აქვეყნებს წით
მიელთა უნივერსიტეტის კურ
თავრებულთა 157 კურსელის

ამხ. მიხა ცხაკაია და რკინის ლები.

გაიარა რა რკინის გზელებ
ამხ. მიხა ცხაკაიამ მიმართა
სალმებით და გამოსთქვა იმედ
ზევრი აქ დამსწრენი მოესწრებ
წითელი არმიის მეორე 5 წლ
და დაინახავენ წითელ არ
ქვეყნების სატახტო-ქალაქებ
დაც ჯერ-კიდევ კაპიტალის
ტონობენო“.

ცერემონიალური მარ

იწყება ნაწილების ცერ
მარშით გავლა. როტა-როტ
დევს, ბატალიონი-ბატალიონს.

გაუმარჯოს ძლევა-მოსილ
არმიას.

გაუმარჯოს უძლეველ წით
ნოსან რაზმს.

გაუმარჯოს წითელი არმიის
საყრდნობს, წითელ ტეხნიკას!

გაისმის მისალმებანი წით
წილების მიმართ. უკანასკნელ
სუხებენ „ვაშას“ ძახილით.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

საპროტესტო დემონსტრაცია ლონდონში.

ლონდონში გაიმართა ინგლისის დედა-ქალაქის მუშათა მასსების გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია რურის ოლქში საფრანგეთის იმპერიალიზმის გამოსვლის წინააღმდეგ. მიუხედავათ დიდი სიცივეებისა, ლონდონის მრავალი ათასი მუშები მიესწრაფოდნენ ამ მეტათ ორიგინალურ აუდიტორიისაკენ, რათა მოესმინათ მუშათა პარტიის ორატორების სიტყვები, განსაკუთრებით კი ტომას შოუს სიტყვა, რომელმაც, თვით ბურჟუაზიული პრესის აღიარებითაც კი ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მუშათა პარტიის წევრთა დემონსტრაციას ლონდონის სამხრეთ ნაწილებიდან გამოშურებული კომუნისტების პროცესია შეუერთდა, კომუნისტებს მოქონდათ დროშები, რომლებზედაც ეწერა:

„გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს“. „გაუმარჯოს წითელ-არმიას“. და ეხატა ლენინისა და ტროცკის სურათები.

ტომას შოუმ მსმენელთ უამბო რურის ოლქში მოგზაურობიდან გამოტანილი მისი შთაბეჭდილებები და გერმანიის მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობის შესახებ. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საფრანგეთის მთავრობის სანქციებისა და ძალადობის პოლიტიკა, გამოსთქვა პროტესტი ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც პასუხისმგებელია საფრანგეთისადმი არაპირდაპირი დახმარებისათვის. სიტყვის დასასრულს ტომას შოუმ გამოსთქვა აზრი, რომ საფრანგეთი ბოლოს და ბოლოს აამძრავებს ყველა ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს თავის წინააღმდეგ და მაშინ მთავრობებს საფრანგეთისაგან გამიჯვნა მოუხდებათ.

შოუს გარდა სიტყვები წარმოსთქვეს მუშათა პარტიის სხვა საპარლამენტო წარმომადგენლებმაც. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ინგლისის მუშათა პარტიამ ორატორებათ დანიშნა პარლამენტის ის წევრები, რომლებიც პროვინციებში იყვნენ არჩეულნი და ლონდონის მუშათა კლასის წინაშე ჯერ არ გამოსულან.

ტფილისის საბჭოს საზეიმო სხდომა

საღამოს, 24 თებერვალს სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგა ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს საზეიმო სხდომა წითელ არმიის 5 წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავის აღსანიშნავათ.

პრეზიდიუმის არჩევა.

გამოაცხადა რა საჯარო სხდომათ, ამხ. სუხიშვილმა შეიტანა წინადადება სპეციალურ პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

პრეზიდიუმი არჩეულ იქნა ერთხმად შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით:

პრეზიდიუმში:

მ. ცხაკაია, ორახელაშვილი, ელიავა, ეგოროვი, ვრაჩოვი და ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

საპატიო წევრებათ:

ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, სტალინი, ორჯონიკიძე, კაშენი და ცეტკინა.

საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 2 წლის შესრულების შესახებ, მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. მამია ორახელაშვილს. მან დაიწყო შულავერის რევოლიუციონურ კომიტეტის დაარსებიდან, რომელიც სასაცილოდ მიაჩნდათ მენშევიკებს და დაწვრილებით ახასიათებს განვლილ პერიოდის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობას და მის მიღწევათ, დასაბუთებით ამტკიცებს რა იმას, რომ მართალი იყვნენ შულავერის რევკომელები და არა მენშევიკები.

(ამხ. ორახელაშვილის სიტყვა დაწვრილებით იქნება შემდეგ).

წითელი-არმიის არსებობის 5 წლის თავი.

ამხ. ვრაჩოვი, რომელიც გამოვიდა მოხსენებით წითელი არმიის 5 წლის ისტორიის შესახებ, აღნიშნავს, რომ თუმცა წითელი-არმიის წარმოშობის დროთ ოფიციალურად მიღებულია 1918 წ. 23 თებერვალი, მაგრამ სინამდვილეში მის ჩანასახს წარმოადგენდა წითელი გვარდია, რომელიც წარმოიშვა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლიუციამდე.

წითელი გვარდიის არსებობის აუცილებლობა ნათელი გახდა თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე, როდესაც ბურჟუაზიულმა წრეებმა დაიწყეს კლასობრივ არმიის ორგანიზაცია დამკრავ ბატალიონების, გიორგის ბატალიონების და დამკვრელ ქალთა ბატალიონების სახით და სხვა.

ოქტომბრის რევოლიუციის მომენტში წითელი გვარდია პეტროგრადში შეიცავდა 12 ათას კაცს, მოსკოვში მხოლოდ 3 ათას კაცს. გარდა ამისა გვარდია არსებობდა ყველა სამრეწველო ქალაქებში. დაწყებულმა სამოქალაქო ომმა გვიჩვენა, რომ მყვლეფელებთან ბრძოლაში გამკლავება შესაძლებელია მხოლოდ მძლავრ წითელ არმიის არსებობით, ამ გარამოებამ გამოიწვია წითელი არმიის შექმნა და ორგანიზაცია,

გვიჩვენა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დეკრეტით იქმნება მუშურ-გლეხური კლასობრივი წითელი არმია, შედგენილი ხელისუფლების განკარგულებათა თანახმად.

საპატიო იარაღი მიეცა მხოლოდ მუშურ-გლეხურ კლასის ერთგულ შვილებს. ნაწილების ბრძოლის უნარიანობა მაღლდებოდა ნაწილებში კომუნისტების ყოფნით, რომლებიც ხშირად პირადი მაგალითებით ამხნევებდენ ნაწილებს. ბრძოლის დროს შრომის გასანთავისუფლებლათ დაიღუპნენ მრავალი მებრძოლები, რომელთაც ფეხზე ადგომით პატივი უნდა ვსცეთ. (ყველა დგებიან; ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს).

არ კმარა მხოლოდ არმიის მოგროვება, მისთვის საჭიროა ხელმძღვანელები. პირველ ხანებში მოწვეულ, იქნენ სამხედრო საქმის მცოდნესპეცები ძველ აფიცრობიდან. იყო აგრეთვე სამხედრო და პოლიტიკურ კომისართა ინსტიტუტი რომელიც ყურადღებას აქცევდა სპეცებს, რათა არ ჩაედინათ ღალატი. მოღალატეობის შემთხვევები იყო, მარამ იყო წინააღმდეგი შემთხვევებიც. ასე მაგალითად გენერლები: ნიკოლაევი, სტანკევიჩი, სამოილოვი და სხვები, რომლებმაც არ უღალატეს რევოლიუციას, მხეცურად წამებულ იქნენ.

ამჟამად მდგომარეობა სულ სხვა ნაირია. კომანდირთა შორის 67 პროც. გლეხებია, 12 პროც. მუშები და 20 პროც. სხვები. 5 წლის ისტორიამ წარმოშვა ისეთი კომანდირები, როგორიც არიან ბუდიონი, ეგოროვი, ფრუნზე და სხვები.

თავისი მოხსენება ამხ. ვრაჩოვმა დაათავა სიტყვებით, რომ წითელი არმია მზათ არის თავი დასდოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის იდეებისათვის.

წითელი არმიის ბრძოლა.

ამხ. ეგოროვმა, რომელიც გამოვიდა თანამომხსენებლად, სხარტად და ნათლად დაახასიათა ქარტაზე წითელი არმიის მდგომარეობის და ბრძოლის სხვა და სხვა პერიოდები.

მისასალმებელი დეპეშები.

სხდომამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს ამხ. ამხ. ლენინს, ტროცკის, კამენევს და ბუდიონის.

ამხ. ეგოროვი—საბჭოს საპატიო წევრი.

ერთხმად, ტაშის ცემით მიღებულ იქნა პრეზიდიუმის წინადადებ
ჭოს საპატიო წევრად არმიის
დირის ამხ. ეგოროვის არჩევ
ხებ.

წითელ კავალერთა პა

ამხ. მიხა ცხაკაია, რომელ
ბიან მქუხარე ტაშით, თავის
სიტყვაში იძლევა განმარ
რისთვის იხმარება სიტყვა
ბი და რისთვისაა საჭირო
ბულთა გამოყოფა და მათი
ცემა.

შემდეგ ამხ. ვრაჩოვი კა
თბილისის გარნიზონის კა
სიას რიცხვით 48 კაც. და
აღნიშნავს მათ ღვაწლს, რა
საფუძველს დაჯილდოებულ
თელი დროშის ორდენით.

საჩუქარი საბჭოსაგან

თბილისის საბჭოსაგან ამხ.
უძღვნის წითელ კავალერ
ქარს შემდგარ საათისა და
ფას ნივთებისაგან.

სხდომის დახურვა.

დღის წესრიგის ამოწურვ
ამხ. სუხიშვილმა სხდომა გა
დახურულათ, რის შემდეგ
ბის მიერ ორკესტრთან ერთ
რულებული იქნა ინტერნაცი

წითელ დროშის ორდენი ლერთა სია.

ეგოროვი, ორჯონიკიძე,
ბერეზინი, დვორიანოვი,
დარბაზოვი, გაიკოვი,
ზახარიანც, ჩიჟენკოვი,
ბოლშაკოვი, ლევუშკინი,
ქივაევი, დოლგოპოლევი,
ლუნკევიჩი, მედვედიცინი,
სერგეევი, პოდოლიაკ,
რუდოვი, ახნაზაროვი,
ვანიევი, მიკულინი,
შკლიარი, ვოდონიანოვი,
სმირნოვი, ხოდზკო,
ლავრენტიევი, კუზნეცოვი,
ხუტულაშვილი, გეგეჭკორი,
ჩერნი, გალანოვი, მიხაილ
ლოვი, ბერეჟნოი, კვანტალ

მოწამეთის მონასტრის „წმინდა

ქ. ქუთაისის და მისი მაზრის მშრომელი მასის სურვილების თანახმად, რომელიც მან გამოსთქვა მიტინგებზე და კრებებზე, ა. წ. 18 თებერვალს მოხდა მოწამეთის მონასტრის „წმინდანების“ დავით და კონსტანტინეს „ნაშთების“ გახსნა. ეს დღე წაუშლელი დარჩება ჩვენს ცხოვრებაში, როგორც სამღვდელოების სიყალბის უკანასკნელი გამოაშკარავების და დასასრულის წუთები. ამ დღეს ხალხმა თავისი თვალით დაინახა, რა ყოფილა დავით და კონსტანტინე. ამ დღეს სამღვდელოებას ხელიდან გამოეცალა მდიდარი საშემოსავლო წყარო, ამიტომ ამ დღეს გლოვობდა მატყუარა სამღვდელოება, ხოლო ზეიმობდა და მხიარულობდა თვალ ახელილი მშრომელი ხალხი. არ დარჩენილა ქუთაისის მაზრაში არც ერთი თემი და სოფელი, რომ იქაურ მორწმუნეთა წრიდან წარმომადგენელი არ ყოფილიყოს „ნაშთების“ გახსნაზე დასასწრებათ. ასეთი წარმომადგენლები იყვენ მთელი დასავლეთ საქართველოდან. ამ წარმომადგენლების სდა სხვა ხალხი თანდასწრებით განსაკუთრებულმა კომისიამ გახსნა „ნაშთები“, სადაც დიდი ხნის დამტვერიანებული და დაობებული ძვლები აღმოჩნდა. ეს ძვლები კომისიამ ხალხს უჩვენა და მისცა ფართო ახსნა-განმარტება. მაგრამ ყველა ეკლესიის ახლო ვერ ეტეოდენ და მოშორებით მონასტრის ეზოში, ჩამწკრივებული მოუთმენლად მოელოდენ „ნაშთების“ გამოტანას. ის გამოიტანეს და უჩვენეს მათ ვინც ეკლესიაში შესვლა ვერ მოასწრო, მაღლობ ადგილზე ჩნდება ამხ. ვ. ბახტაძე, მას ხელში უჭირავს თავის ქალა „წმინდანის“ და მიმართავს საზოგადოებას სიტყვით, რომელშიაც ხაზს უსვამს, რა ხერხს მიმართავდა სამღვდელოება ხალხის მოსატყუებლად და რას უწოდებდა ის „წმინდანს“. ხალხი მას ტაშის ცემით და ხმაურობი
„ძირს მატყუარები, გაუმა
მელ ხალხს“, გაისმის ხმებ

სიტყვის გათავების შ
მატარებლით წამოვიდა ქ
„ნაშთებიც“ თან წამოი
მატარებელი ნელა მოდი
ლას უჩვენებდენ „წ
ძვლებს.

აუარებელი ხალხი და
რებელს ქუთაისის სადგურ
უნდოდა ნახვა „წმინდან
გურის წინ მოედანზე
მიმართა ამხ. ვ. ბახტაძ
კი „ნაშთები“ წაიღეს პრ
ში. გზაში ხალხს ტევა ა
ყველა სამღვდელოებაზე
და. პროფკავშირის წინ
ტინგი, რომელსაც რამო
სი კაცი დაესწრო. სიტყვ
ამხ. ამხ. ვ. ბახტაძემ და

მათ ფართოდ განმარტ
თა წინაშე, როგორ ტ
ხალხი რამდენიმე ასი წლ
ბაში. მათ მოუწოდეს
პირით, გამოსულიყვენ და
აშკარათ ეთქვათ რის
ლებდენ ისინი საუკუნო
ლობაში ხალხს, მაგრამ
დავდა სიმართლის წინ
ტყუილით გამოსვლას.

ხალხი აღფრთოვანებ
ცემით შეხვდა გულწ
ყვებს.

სიტყვები გათავდა,
უცხადეს, რომ ნახვა „
ყოველ დღე შეიძლება.
შალა.

სხვა მაზრებიდან და
ჩამოსული გლეხები და
„წმინდანების“ სიყალ
გაიძახოდენ; „ბედნიერი
ელირსა მათ თვალებ
დნიერია ახალგაზრდობა

თავს დააღწევს ყოველგვარ ცრუმორწმუნეობის გავლენას და საღი თვალით შეხედავს სინამდვილეს.“ არ შეიძლება აწერა იმის რაც იყო ამ დღეს ქუთაისის მაზრაში. ამით ისეთი დიდი ლოდი დაედვა სამღვდელოებას, რომლიდანაც წამოდგომას ის ველარ შესძლებს.

ამის შემდეგ ის ველარ მოახერხებს ხალხის დაბრმავებას და მის მოტყუილებას. ხალხი თანდათან იღვიძებს, ფხიზლდება და შორს არ არის ის დრო, როდესაც ის სამუდამოთ განდევნის სამღვდელოებას ყველა ქალაქებიდან, სოფლებიდან და ეკლესია—მონასტრების შენობებს კი კულტურულ საქმისათვის გამოიყენებს.

იაგო.

„მ. და. გლ“.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად.

საქართველოს კომპარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს:

ძვირფასო ამხანაგებო!

ა/წ. 25 მარტს სრულდება **რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)** არსებობის 25 წელი.

ჩვენმა პარტიამ გაიარა ბრძოლის, დამარცხებათა და გამარჯვებათა გრძელი გზა. გიგანტური ბრძოლის 25 წლის განმავლობაში პარტიამ დაამხო ცარიზმი, ხოლო ოქტომბერში—ბურჟუაზია.

ამჟამად, როდესაც პარტია სდგას ხელისუფლების სათავეში და წინ მიუძღვის მშრომელთა მილიონებს და აშენებს ახალ ცხოვრებას, საჭიროა ღირსეულად აღვნიშნოთ და ვიდღესასწაულოთ მისი 25 წლის **იუბილე**.

საჭიროა ფართოთ განუმარტოთ პარტიის ახალგაზრდა წევრებს და ყველა მშრომელებს ჩვენი პარტიის მუშაობის ის მომენტები და პირობები, როდესაც იგი ჯერ კიდევ ჩასახვის სტადიაში იმყოფებოდა და იწყებდა მუშათა კლასის დაქსაქსულ ძალების დარაზმვას.

იუბილეს სათანადოთ და ზეიმით სასტარებლად **საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის** სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას იძლევა გატარებულ იქნას ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი:

მახლობელ პარტიულ დღეს იაჩეიკების სხდომებზე გაშუქებულ იქნას ეს საკითხი მუშათა და გლეხთა ფართო წრეების თანადასწრებით.

წინადადება მიეცეს პოლიტიკურ წრეების ხელმძღვანელებს ამ დროისათვის გაძლიერებული მეცადინეობა აწარმოვონ წრის წევრებთან ჩვენი პარტიის ისტორიაში, უმთავრესად იმ პერიოდის ისტორიაში, რომელიც ეხება მის ჩასახვას და ორგანიზაციას.

ამ დღისათვის მოეწყოს ახალი პოლიტ-წრეები უპარტიო მასების ჩაბმით.

3 მარტს მუშათა და გლეხთა ყველა კრებებზე გაიმართოს მოგონებათა საღამოები, რომელზედაც განხილული იქნება რევოლიუციონური ბრძოლის ისტორია და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის შედეგები, აქ გაშუქებული უნდა იქნეს ორგანიზაციების ცხოვრების თვალსაჩინო მომენტები რევოლიუციის საქმისათვის დაღუპულ ყველაზე უფრო მომქმედ ამხანაგების როლი.

დაინიშნოს განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების და „სპარტაკის“ დათვალიერება. 13 მარტს, საღამოზე დაინიშნოს პარტიულ კომიტეტების პარტიის წევრთა თანადასწრებით, პროფორგანიზაციების, ახალგაზრდობის კომკავშირის და წითელ-არმიის ნაწილების საზეიმო სხდომები.

საზეიმო სხდომა მიეძღვნას იუბილეს, რის შემდეგ გაიმართოს უფასო წარმოდგენები.

ყველა პარტიულ-საბჭოთა გაზეთებმა ადგილი დაუთმონ დღესასწაულს; წინასწარ შეუკვეთონ რა წერილები და მოგონებანი, პარტიის ძველ წევრებს—რევოლიუციონურ ქარიშხალის და ბრძოლების მონაწილეებს.

მუშათა და ახალგაზრდათა კომკავშირის კლუბებში დაიდგას ინსცენიროვკა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის ისტორიიდან და აგრეთვე გაიმართოს მოგონებათა საღამოები.

ბიბლიოთეკებმა უნდა გამართონ იმ ლიტერატურის გამოფენა, რომელიც ეხება თვითმპყრობელობის და მენშევიკების წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის ისტორიას.

დამატებითი მასალები და თეზისები ცალკე გამოგეგზავნებათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

ც. კ. სააგიტ-საპროპაგანდო განყოფ. გამგის მოადგილე **ა. კვირიკაძე.**

თეზისები

თებერვლის რევოლიუციის მე-6-ე წლის თავისათვის ძირითადი მოხსენების შესახებ

1. კაპიტალიზმის განვითარებისა და მისი უკანასკნელი ფაზის—იმპერიალიზმის, როგორც ბაზრების და ნედლი მასალის დაპყრობის და დამზადებულ ფაბრიკატების განაღდების პოლიტიკის მსვლელობას აუცილებლად უნდა გამოეწვია შეჯახება ცალკე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის.

2. ჯერ კიდევ 1912 წელს ბაზელის სოციალისტური კონგრესი, მიუთითებდა რა ომის აუცილებლობაზე, მასში ყველა მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნების ჩაბმით, აღნიშნავდა, რომ პირობების განვითარება მიიყვანს საერთაშორისო პროლეტარიატს სოციალისტურ რევოლიუციამდე.

3. ორი წლის შემდეგ წარმოშობილმა (1914 წელს) ევროპის იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია ყოველგან და ყველა სახელმწიფოებში მთელი რიგი რევოლიუციონურ აჯანყებებისა, რომელიც პირველ პერიოდში უშედეგოდ დამთავრდა, მუშათა კლასის არა საკმაო ორგანიზაციულობის გამო.

4. ორ ნახევარი წლის ომმა შეარყია მეფის ხელისუფლების საფუძვლები რუსეთში, როგორც ყველაზე უფრო სუსტი მრეწველობის სახელმწიფოში; იმედ გაცრუებულნი ომის განმათავისუფლებელ მნიშვნელობაში და შევიწროებულნი სიმშილით, მუშათა და გლეხთა (ჯარისკაცთა) მასები აღსდგენ და 27 თებერვალს (1917 წლის 12 მარტს) დაამხვეს თვითმპყრობელობა.

5. მუშების არა საკმაო შეგნებით და ნაკლები ორგანიზაციულობით ისარგებლა ბურჟუაზიამ და ხელთ იგდო ხელისუფლება. მას სურდა გამოეყენებია რევოლიუცია ომის გასაგრძელებლად გერმანიის დამარცხებამდე და თავის ბატონობის განმტკიცება მუშების და გლეხების ექსპლოატაციის მიზნით.

6. მენშევიკების და ესერების წვრილ-ბურჟუაზიულმა პარტიებმა გამოაშკარავეს თავიანთი ჭეშმარიტი ბუნება და, დაივიწყეს რა საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის გადაწყვეტილებანი, მხარი დაუჭირეს ლვოვის, ხოლო შემდეგ კერენსკის დროებით მთავრობებს, რომლებიც ყალბი დაპირებების სამოსელით აწარმოებდენ ინგლის-საფრანგეთის და ამერიკის კაპიტალის პოლიტიკას. და მხოლოდ ბოლშევიკების პარტია, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა მეცნიერული სოციალიზმის დამაარსებლების აღთქმებს და 12 წლის სოციალისტური კონგრესის გადაწყვეტილებებს, იდგა კლასობრივ პროლეტარულ პოზიციაზე და მოითხოვდა ძალა-უფლების საბჭოებისათვის გადაცემას და ომის შეწყვეტას.

7. საქართველოს მენშევიკები, სომხეთის დაშნაკები (რომლებიც თავის თავს რევოლიუციონერებს და სოციალისტებს უწოდებდენ) მოქმედებდენ კავკასიაში ისევე, როგორც—რუსეთის ესერები და მენშევიკები—რუსეთში. ისინი შეუკავშირდენ აზერბეიჯანის ბეგებს და ხანებს, საქართველოს თავადებს და სომხეთის ბურჟუაზიას და აწარმოებდენ კავკასიის მუშებისა და გლეხების ჩაგვრის პოლიტიკას, ესე იგი პოლიტიკას რუსეთის დროებითი მთავრობისა.

8. 8 თვის განმავლობაში, თვითმპყრობელობის ჩამოგდების დღიდან, დროებითმა მთავრობამ და მისმა წარმომადგენლობამ ამიერ-კავკასიაში—**ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისარიატმა** ვერ შესძლეს თვით ფეოდალიზმის ნაშთების აღმოფხვრაც, ვერ გადასჭრეს ღარიბ გლეხობის სასარგებლოდ მიწის საკითხი, ვერ გააუმჯობესეს მუშათა კლასის მდგომარეობა და ვერ მისცეს მუშებს და გლეხებს ზავი.

9. ომი გრძელდებოდა, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა, ხოლო კაპიტალისტები აგროვებდენ სამხედრო მოგებას მიწოდებების, იჯარების და სხვ. გზით. ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა აუტანელი მდგომარეობა ღრმავდებოდა ეროვნული შუღლით, რომელიც ღებულობდა სისხლის მღვრელი ხოცვა-ჟლეტის, ავაზაკური მოძრაობის ფორმებს რაც შეადგენს ფეოდალური ნაშთების სპეციფიურ თვისებას.

10. თებერვლის რევოლიუციის პირველი დღეებიდან, მუშათა კლასმა იწყო შეკავშირება თავისი მომავალი ძალა-უფლების ჩანასახის—საბჭოების გარშემო.

ამავე დროს დროებითი მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ამტკიცებდა ბურჟუაზიის ბატონობას, ხელს უწყობდა პროლეტარიატის კლასობრივი თვით შეგნების განვითარებას და მშრომელ გლეხთა მასების რევოლიუციონური განწყობილების ზრდას.

11. 1917 წლის ოქტომბერში თვალსაჩინო გახდა ფართო მშრომელ მასებისათვის დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული ბუნება.

25 ოქტომბერს (7 ნოემბერს ახ. სტ.) დროებითი მთავრობა ჩამოგდებულ იქნა და პროლეტარიატმა გამოაცხადა და შეადგინა საბჭოთა ხელისუფლება. რუსეთის მუშათა კლასმა დაუყოვნებლივ გადასჭრა მიწის საკითხი ღარიბ გლეხობის სასარგებლოდ, ჩამოართვა მეპატრონეებს ფაბრიკები და ქარხნები, მოსპო წოდებრივი პრივილეგიები, ეროვნული ჩაგვრა, ქალთა უუფლებობა და სხვა და სხვ.

12. ამასთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიყვანა სახელმწიფო იმპერიალისტურ ომისაგან, დაამარცხა გააფთრებულ სამოქალაქო ომში შინაური და გარეშე კონტრრევოლიუციის კავშირი და მიჰყავს სახელმწიფო მეურნეობის აღდგენისაკენ სოციალისტურ ნიადაგზე.

13. თებერვლის რევოლიუცია იყო პროლოგი ოქტომბრის დიდი რევოლიუციის, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს მსოფლიო სოციალური რევოლიუციის დასაწყის. რუსეთის პროლეტარიატის ცდებით, შეცდომებით და გამარჯვებებით იძენს ცოდნას ამ ჟამად საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელსაც იმედს აძლევს და დახმარებას უწევს მუშურ-გლეხური რუსეთი მსოფლიოს წითელ ოქტომბრის მიღწევის გზაზე.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ქრონიკა

განათლების კომისარიატში.

— **დადგენილება.** სახალხო განათლების კომისარიატმა დაადგინა: ს. ს. ს. რესპუბლიკაში არსებული პედაგოგიური ტეხნიკუმები გადაირიცხონ სპეციალურ ტეხნიკუმთა კატეგორიაში და მათში სპეციალურ საგნების მასწავლებელთ ჯამაგირები მიეცეს სპეციალურ სასწავლებლების მასწავლებელთათვის განსაზღვრულ ნორმის მიხედვით.

— **სასკოლო სტატისტიკა.** განათლების კომისარიატის სტატისტიკური ქვე-განყოფილების წინასწარი ანგარიშის ცნობების მიხედვით, შემუშავებული იქნა რესპუბლიკაში არსებული ყველა სკოლების მდგომარეობა 1914 წლიდან 1922—23 წლამდე. ე. ი. ომის დროის პერიოდიდან დღემდე. 1914—სკოლათა რიცხვი უდრიდა 1484. მოწაფეთა რიცხვი კი 96,004. ხოლო მასწავლებელთა რიცხვი 4264. 1919—20—სკოლები იყო—1704, მოწაფეები—150,423, ხოლო მასწავლებლები—5809. 1921—22 წელში—სკოლები ირიცხებოდა 1759, მოწაფეები—176,089. მასწავლებლები—7436. 1922—23 სამოსწავლო წლებში—სკოლები უდრიდა—1342, მოწაფეთა რიცხვი—156,423, მასწავლებლები—9006. 1922—23 წლების სკოლების რიცხვი შედარებით უფრო მცირეა, მაგრამ არსებული სკოლა კლასების რიცხვით უდრის ძველ 2—3 სკოლას. ე. ი. ნამდვილათ ძველი სისტემის მიხედვით არსებული სკოლების რიცხვი აღწევს 2000-მდე, რომელშიაც არ შედის ადგილობრივ ხარჯზე არსებული სკოლები. რესპუბლიკაში არსებობს უმაღლესი 3 სასწავლებელი: სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტეხნიკუმი და სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. პირველში ირიცხება 396 პროფესორ-დოცენტები და 6185 სტუდენტი. მეორეში—248 პროფესორი და 3790 სტუდენტი. მესამეში—17 პროფესორი და 185 სტუდენტი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **მოწყალე დების სკოლა.** სანიტარულ განმანათლებელ საბჭომ, რომელიც არსებობს ჯანმრთელობის კომისარიატთან, წინადადებით მიმართა განათლების კომისარიატს, რათა მიეცეს ნება აღნიშნულ საბჭოს, გახსნას ტფილისში მოწყალე დათა სკოლა, რომლის დაარსება განზრახულია 1-ლ მარტიდან. ამავე საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ჯანმრთელობის კომისარიატის წინაშე, ხსენებულ სკოლისათვის დაეთმოს ამბულატორია და აფთიაქი. სკოლის მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია 120. მათ შორის 100 ფასიანი და 20 უფასო, უკანასკნელი რიცხვი შევსებული იქნება პროფესიონალურ კავშირების საბჭოს კანდიდატებით.

ქალაქის აღმასკომში

— **იარაღის ტარებისათვის.** მილიციის უფროსის განცხადების თანახმად, აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა მოქ. მხევაშვილი და დიომელაშვილი დაჯარიმებული იქნეს 5 მილ. მან., ხოლო მოქ. მახმუდ ალი ოღლი 3 მილ. მან. უნებართვო იარაღის ტარებისათვის.

ა. კ. შრომის კომისარიატის რწმუნ. სამმართველოში.

— **შრომის განყოფილებების დათვალიერება.** მიენდოს ამხ. ბერბერაშვილს და კურპელს მოიარონ რესპუბლიკაში არსებული შრომის განყოფილებების უმთავრესი ადგილები და გამოარკვიონ საკითხები დაკავშირებული შრომის ბირჟასთან და არტელებთან.

სახალხო სასამართლო და შრომის დაცვის პირობების დარღვევის შესახებ. ვინაიდან შრომის დაცვის კანონის დარღვევის საჩივრები გადაცემული აქვს ხოლმე სახალხო სასამართლოს საბჭოს და ეს უკანასკნელი კი საქმის გარჩევას აგვიანებს ხშირად 3—4 თვემდე, რაიც მუშების მდგომარეობას აუტანელს ხდის და. ამ ხნის განმავლობაში კი დამქირავებელნი შრომის დაცვის კანონისდარღვევისთვის დროზე პასუხისგებაში არ არიან მიცემული, ა. კ. შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ დაადგინა: წინადადება მიეცეს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს შრომის დაცვის კანონების დარღვევის საკითხები გარჩეულ იქნ ს არა უგვიანეს ორი კვირისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საჩივრები აღარ გადაეცემა სახალხო სასამართლოს.

— **წარმოებათა და დაწესებულებათა დათვალიერება.** წარმოებათა და დაწესებულებათა დასათვალიერებლად შესდგა განსაკუთრებული კომისია, სადაც შევიდენ შრომის ინსპექტორები, კავშირების წარმომადგენელნი, შრომის ბირჟის კომიტეტიდან და ცეკადან.

— **ამხ. იაშვილის და გოდაბრელიძის მოსკოვში გამგზავრების გამო.** ამხ. იაშვილის და გოდაბრელიძის მოსკოვში გამგზავრების გამო, სრულიად რუსეთის შრომის განყოფილებების ყრილობაზე დასასწრებლად ა. კ. შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს კომისარის ამხ. იაშვილის მოადგილეთ ინიშნება ამხ. მიქაძე.

სამტრედია

— **უმუშევრების აღრიცხვა.** 1-ლ დეკემბრიდან 1-ლ იანვრისათვის დარჩა აღრიცხვაზე 126 უმუშევარი, ამათგან 41 დედაკაცია. იანვარში აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 7 უმუშევარი—5 კაცი და 2 ქალი. გაგზავნილ იქნა სამუშაოზე 11. უმუშევართა გაწმენდის დროს ბირჟიდან მოხსნილი იქნა 92 უმუშევარი—64 მამა-კაცი და 28 ქალი. სამტრედიის უჩპროფსოჟზთან არსებულ სექციის მიერ 1-ლ იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე აღრიცხული იქნა 325 უმუშევირი, გაიგზავნა სამუშაოზე 12. ბირჟის გაწმენდის დროს გაწმენდაში მოყვა 226. აღრიცხვაზე დარჩა 87.

— **შრომის ხარკი.** იანვარში შრომის ხარკი მოიხადა პირადი შრომით 143 შრომის უნარიანმა. ამავე ხარკის საშუალებით გამოყვანილი იქნა 58 ტვირთმზიდავი, შრომის ხარკის ფულადით შეცვლის გამო შემოვიდა 35,350,000 მან.

— **დაჯარიმება.** შრომის დაცვის კანონის დარღვევისათვის დაჯარიმებული იქნა ერთი მწარმოებელი ცხრა მილიონით.

— **არხების და გზების გაყვანა.** განყოფილების თაოსნობით გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს არხებისა და გზების გასაყვანად.

— **დამზღვევი კასა.** დამზღვევი კასა მუშაობს ენერგიულათ. დახმარებას უწევს ავადმყოფებს, მშობიარეებს, პენსიონერებს და სხვ.

სასურსათო კომისარიატში.

— **სასურსათო გადასახადი.** სასურსათო სახ. კომისარიატის ცნობით დასავლეთ საქართველოს 7 მაზრაში 26 თებერვლისათვის აკრებილი იყო 282,403 ფუთი სიმინდი, რაც შეადგენს შეწერილ რაოდენობის 95,5 პროცენტს. დარჩენილია ასაკრებად 13,097 ფუთი, ე. ი. 4,5 პროც.

წითელ ჯარში

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** ქართული დივიზიის პოლიტ. განათლებამ ცირკულიარული ბრძანებები დაუგზავნა დივიზიის ყველა ნაწილებს დააჩქარონ მზადება და გამოშვება წერა-კითხვის არა მცოდნე წითელი არმიელებისა. პოლიტ-განათლების დადგენილებით დასაჩუქრებულნი იქნებიან ის ხელმძღვანელი მასწავლებლები არმიელებისა, რომლებმაც ენერგიული შრომით შესძლეს წითელ ჯარის კაცების გათვითცნობიერება. აგრეთვე დასაჩუქრებულნი იქნებიან ის ჯარისკაცები, რომლებიც წარჩინებით ჩააბარებენ გამოცდას.

— **ლოთობის წინააღმდეგ.** წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართა რამდენიმე მოხსენება ლოთობის წინააღმდეგ. მოხსენებები იკითხებოდა თვით ჯარის-კაცებისაგან, რომლებიც მოუწოდებენ არმიელებს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

კრებები და მოხსენებები

— **მოხსენება უნივერსიტეტში.** სამშაბათს, თებ. 27, სახელმწ. უნივერსიტეტის 1-ლ აუდიტორიაში სტუდენტთა „ისტორიულ ლიტერატურული“ წრე გამართავს მორიგ მოხსენებას: მომხსენებელია ალ. ბარამიძე, თემა: გიორგი მერჩულის, „ცხოვრებაი წმინდისა გრიგოლისა ხანცთელისაი“. დასაწყ. საღ. 7 საათზე.

სხვა და სხვა

— **„მომავალი“ № 2 (9) 1923 წ.** გამოვიდა და იყიდება ს. ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „მომავალი“-ს № 2 (9), რომელშიდაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1. ორი წელი—დ. გ. 2. რევოლიუციის წითელი გვარდია 3. წითელი ფლოტის აღმშენებლობის წელიწადი—ვ. ზოფი 4. ოქტომბრის დღეები პეტროგრადში—ა. ბარანოვი 5. ახალგაზრდათა ინტერნაციონალები—კ. გორდელაძე. 6. როგორ გავხდი მარქსისტი—ფ. მახარაძე. 7. როგორ გავხდი მარქსისტი—ნ. კრუპსკაია. 8. კლასიური საზოგადოება და ინდივიდიხანი. 9. ფიქრები ჩვენს მოძრაობაზე—ვ. გოგეშვილი. 10. უახლოესი ამოცანები—ა. პ. 11. წარმოებაში ქალთა და ბავშვთა შრომის გამოყენების შედეგები—კ. მარქსი და ენგელსი, 12. ვილჰელმ რენტგენი. 13. რედაქციისაგან. 14. ჩვენს მომავალს (ლექსი) სანდრო ეული. 15. წითელ საქართველოს—კ. ფილოსიშვილი. 16. 25 თებერვალი—ა. მამაშვილი. 17. და სამფეროვან დროშების ნაცვლათ. ჯიბუტი. 18. კლოდ-მაკ-კეის ბიოგრაფია. 19. ტყვეობაში—კლოდ მაკ-კეის (თარგმ. სანდრო ეულისა). 20. ღია წერილი—Cales. 21. პასუხი ამხ. Cales. 22. ძველი ქოხი—ალ. არველაძე. 23. ფუტურიზმი—შ. რადიანი. 24. ახალი შობის წინა ღამეს—სიუზანა. 25. მენშევიკების მგზავრული გაქცევის დროს—დ. ა. 26. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 27. ჩვენი ფლოტი.

ხელოვნება

45 წლის იუბილე

ჩვენ გვთხოვენ გამოვაქვეყნოთ შემდეგი:

პირველი სახელმწიფო კონსერვატორიის დამსახურებულ უფროსი მასწავლებლის მარ. ზაქ. გაბაშვილის იუბილეს მომწყობი კომისიისაგან

მიმდინარე წელს შესრულდა 45 წელი, რაც მუსიკალურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა 1-ლი სახელმწ. კონსერვატორიის დამსახურებული უფროსი მასწავლებელი მარიამ ზაქარიას ასული გაბაშვილი. შევიდა რა 1876 წელს მოსწავლეთ ხ. ი. სვანელის, ა. ო. მიზანდარის და კ. მ. ალიხანოვის კერძო მუსიკალურ შკოლაში ფორტეპიანოს კლასში, იმ მიზნით, რათა დაეწყო პედაგოგიური მოღვაწეობა, მარიამ ზაქარიას ასული უკვე 2 წლის შემდეგ, ჯერ კიდევ მოსწავლე მოწოდებული იყო ემაცადინებია მოსამზადებელი ფორტეპიანოს კლასი. და 1878 წლიდან მარიამ ზაქარიას ასული დაუღალავად მუშაობს მძიმე პედაგოგიურ ასპარეზზე. უყვარს რა ბავშვები და იპყრობს რა მათ სიმპატიებს და თავისადმი ერთგულებას, მარიამ ზაქარიას ასული სულ მოკლე ხნის განმავლობაში აღწევს მათთან ერთად თვალსაჩინო წარმატებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარიამ ზაქარიას ასულმა შექმნა მთელი შკოლა თავისი განსაზღვრული სისტემით და გონივრული პედაგოგიური მეთოდებით და მის მიერ აღზრდილია უკვე სამი თაობა.

დიდად აფასებს რა მარიამ ზაქარიას ასულის ნახევარი საუკუნის სასარგებლო მოღვაწეობას და იღებს რა მხედველობაში მისი ყოფილი და დღევანდელ მოსწავლეების და აგრეთვე მათი მშობლების დაბეჯითებით თხოვნას, 1-ლი სახელმწ. კონსერვატორიის სამხატვრო კომიტეტმა დაადგინა იდღესასწაულოს მარიამ ზაქარიას ასული გაბაშვილის მუსიკალურ-პედაგოგიურ მოღვაწეობის 45 წლის იუბილე.

საიუბილეო დღესასწაული გაიმართება კვირას 11 მარტს, საღამოს 8 საათზე კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში.

საიუბილეო კომისია მიმართავს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს წინადადებით მიიღონ მონაწილეობა იუბილიარის საპატივცემლო დღესასწაულში.

იმ პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ადრესის მიძღვნით, სიტყვიერი მისალმებით ან სხვა რაიმე საშუალებით ვთხოვთ აცნობონ ამის შესახებ 1-ლ კონსერვატორიის დირექტორს არა უგვიანეს 10 მარტისა.

კომისიის თავმჯდომარე სახელმწ. 1-ლი კონსერვ. დირექტორი—**ზ. ა. ფალიაშვილი.**

კომისიის წევრები: მუსიკ. განყ. გამგე. **მ. ბალანჩივაძე**, საქართველოს ხელოვნების მოღვწ. კავშირის თავმჯდომარე—**კ. მაყაშვილი**, სახ. პირვ. კონსერვატორიის პროფესორი **ფ. კეხნერი**, კონსერვატ. უფროსი მასწავლებელი—**კ. ალიხანოვი**, მე-2-ე სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი—**ა. ბარათაშვილი**, 1-ლი სახ. კონსერვატორიის მასწავლებელი—**ვ. ევთიევი**, **მ. ზ. გაბაშვილის** კლასის მოსწავლენი და მშობლები: **ნ. ბუზოღლი, გოცირიძე, ერამოვა, კამოევა, ქიქოძე, კორხმანიანი, მაღალოვი, პაპახკირი, ფლორინსკაია.**

კომისიის მდივანი 1-ლი სახალხო კონსერვატ. ინსპექტორი—**ს. მ. ჩემოდანოვი.**

—

სახალხო სახლი

23 თებერვალი

ჩერჩეტი—ფილდის

რეჟისორი—შ. დადიანი

დრამატიული ხელოვნება გაცილებით მეტ ნიჭს მოითხოვს ვიდრე ლიტერატურული ხელოვნების სხვა დარგი, გარდა იმისა, რომ მწერლის ყოველგვარი სიმპატია, ანტიპატია, იდეალი, მისწრაფებანი ცოცხალ მოქმედ პირებშია აქ ჩამოსხმული, გარდა ამისა, რომ ხასიათების შემუშავება აქ უფრო საძნელო საქმეა, დრამატიულ მწერალს ერთი დაბრკოლება ელობება წინ, რასაც სხვა მწერალი მოკლებულია; ეს არის პიესის ტეხნიკური მხარე. ყოველი პიესის ასპარეზი სცენაა; ამიტომ ლიტერატურულ ღირსებასთან პიესას უნდა ქონდეს ტეხნიკური ღირსებაც;

მისი მოქმედებანი იმდენად ბუნებრივი და მასთან იმდენათ შემუშავებული და შეწყობილი უნდა იყოს ერთმანეთთან, რომ მისი სცენაზე დადგმა ადვილი იყოს, მაყურებელსაც არა ღალავდეს. ამის შემდეგ პიესის გამარჯვება თუ დამარცხება სავსებით დამოკიდებულია რეჟისორ-მსახიობებზე. განსაკუთრებით დიდ დაკვირვებას და ინტელექტუალურ ძალას მოითხოვს მსახიობისაგან დღევანდელი, ახალი დრამატურგია, ნ. გერგესელის „დამზრალი წალკოტი“ ისეთი ტეხნიკით არის დაწერილი, რომ მისი სცენაზე გამარჯვება აუცილებლად შეგნებულ მიდგომას მოითხოვს.

პიესა „ჩერჩეტი“ მხატვრული გამართლებით არის დაწერილი და 23 თებერვალს ის ვერ იყო გაგებული. თვით შალვა დადიანი აქ თავის სიმაღლეზეა. იუსტუსი (სოსო რომანიშვილი) ავტორის კერპი, რომლითაც ფულდი ავად არის და სიცხიან აგონიაში ქმნის უკვდავ სახეებს მსახიობის მიერ სავსებით იყო შეგნებული, ამ მხრივ ს. რომანიშვილი სცენის ინტელექტია, მაგრამ როლი ვერ იყო დაძლეული; ჩვენ რომანიშვილს მეტს ვსთხოვთ, ჩვენ გვინდა ის ყოველთვის მთლიანი იყოს.

იუსტუსის გულუბრყვილო გამოხედვა, ხასიათის ანგელოზებრივი სისპეტაკე და ყველას გამტანობა, მსახიობმა ვერ დაძლია პირველ სამ მოქმედებაში. მეოთხე მოქმედებაში რომანიშვილი გამარჯვების დღესასწაულში იყო და სავსებით შეიძლება მისი გამართლება. არისტოკატ კურტის აღმასრულებელი ვ- ადამიძე დაშორდა პირველ მოქმედებაში განსახიერებულ ტიპს და არ ქონდა მთლიანი როლის გატანა, ზოგ ადგილებს აშარჟებდა. ზოგიერთი მსახიობი ცდილობს ხალხი გააცინოს და როლის შეგნებას უხვევს. კომედია კლოუნობას არ ნიშნავს; შეგნებული მსახიობი აუდიტორიის ღიმილში მწარე ნაღვლს იწვევს ხოლმე და მით პიესა დანიშნულებას ამართლებს.

ძალზე სუსტობდენ: ე. იანქოშვილი (ამერიკანკა), ე. ბარათაშვილი (შირმერი) და ა. ლორთქიფანიძე. უკანასკნელს შეხედულება ხელს უწყობს მსახიობი გახდეს, მაგრამ ალბათ არ ცდილობს, არ მუშაობს.

ა. მეტრეველი (მოსანი) აღარ იყო მეტრეველი, სავსებით გამოცვლილი იყო, რაც მსახიობისთვის დიდი პლიუსია. კარგი იყო ახალგაზრდა მსახიობი სიბილა, მაგრამ მეორე მოქმედებაში იმხელა მკერდი გაეკეთებია, რომ კარიკატურის შთაბეჭდილებას სტოვებდა, რაც შემდეგ მოქმედებებში გამოასწორა.

ნ. მინდელი დღითი დღე იზრდება, ალბათ იმიტომ, რომ წელს რეჟისორი სწყალობს და პასუხსაგებ როლებში გამოდის. ამერიკანკას ამხანაგი მან არტისტიული შეგნებით გადმოგვცა. საერთოთ პიესა აღსრულების მხრივ მოისუსტებდა.

ხელოვანი.

—

იშვიათი საღამო.

კვირას 25 თებერვალს საბავშო № 3 სახლში გაიმართა იშვიათი და სამაგალითო საბავშო საღამო. იშვიათს ვამბობ იმიტომ, რომ ჯერ არსად მინახავს და არც დავსწრებივარ ისეთ შინაარსიან, ცქრიალა, სუფთა, ფაქიზად აღზრდილ ბავშვების საქმიანობა-მუყაითობას. რომელი ერთი გადათვალოს კაცმა: ლექსთა თქმა, ცეკვა-ბალეტი, არტისტიული ნიჭი, სიმღერა-გუნდი სულ ეს ერთად, ერთ კოხტა თაიგულად იყო ჩვენ თვალწინ. მართლაც საკვირველია, ყოფილ მაწანწალა ბავშვებისაგან შექმნა და აღზრდა-განვითარება, მათი ეგრე მომზადება, გეგონებათ თქვენ თვალწინ არიან დიდი ადამიანები და ასრულებენ პირნათლად თავიანთ მოვალეობას. არ მინდა შევაქო მათი აღმზრდელნი, არ მინდა ქებათა-ქება შევასხა მათ, მაგრამ სინამდვილე-სინამდვილეთ რჩება. რამოდენა ღვაწლი, რამოდენა ენერგია უნდა დაეხარჯოთ აღმზრდელ-მასწავლებლებს ქუჩის ბავშვების აგრე მომზადება-განვითარება და ადამიანებათ ქცევისთვის. ჩვენ იქ დავსწრენით. სტუმრები ასე რიგათ ესიამოვნებოდით, ვსტკბებოდით, სულიერად ორი-სამი საათი და იმას კი არ ვფიქრობდით რა პირობებში უხდებათ ამისთანა ბავშვების აღზრდაში მასწავლებლებს, რომელთა მდგომარეობა არ არის ძალიან სახარბიელო. ამიტომ ვუსურვებდით მეტის ენერგიით და ხალისით კიდევ მუშაობას მასწავლებელ-აღმზრდელებს და მეტი ყურადღება და ზრუნვა გამოეჩინოთ მზრუნველებს, როგორც საბავშო სახლებისადმი, ისე მათ მასწავლებლებისადმი. ვაშა მზრუნველებს, ვაშა გამგეებს და თანამშრომელებს.

სახალხო მომღერალი.

—

„ლონდა“. დღეს, რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება გრიგოლ რობაქიძის პიესა მისტერია „ლონდა“, რომლისთვისაც შეკერილია ახალი კოსტიუმები და დახატულია დეკორაციები მხატვარ ირ. გამრეკელის მიერ. ამავე დღეს წარმოდგენილი იქნება მარჯანიშვილისავე რეჟისორობით პაოლო იაშვილის თარგმანი „ცისფერი ობობა“.

სახელმწიფო ოპერა. დღეს, 27 თებერვალს ბენეფისი აგრანოვსკისა „ურიის ქალი“ მონ. პეტლიაში, გაბაშიძე, აგრანოვსკი, ისეცკი და სხვ.

დღეს თეატრებში.

—სახელმწიფო ოპერა—ბენეფისი აგრანოვსკის—პეტლიაშის, ბაროლლიოტის, გაბაშიძის ისეცკის, ბლაგობრაზოვას, ქურხულის და იმერელის მონაწილეობით. რუსთაველის თეატრი—გრიგოლ რობაქიძის პიესა—მისტერია „ლონდა“ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით. 1-ლი საბჭოთა თეატრი—სომხური წარმოდგენა. სახალხო სახლი—„ეჭვიანობა“, ვალერსკის მონაწილეობით. პატარა თეატრი—1-ლი გასტროლი ძმ. ადელჰეიმების. პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—კინო. კინო-მინიონ—„სიკვდილის აზრი“. კინო არტისტო—„სულთანის ასულის სიტყვა-რული“. კინო სარკიანი—„სიკვდილის ბრჭყალებში“. კინო-ზოლკი—„მოლჩი გრუსტ მოლჩი“. კინო-სოლეილ—„კბილი კბილს წილ“.

— დღეს, 27 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირთა დიდ დარბაზში გაიმართება

პროფკავშირებში

სიღნაღის მაზრის საბჭოთა მუშაკების კავშირში

ამა წლის 15 თებერვალს დღით 5 საათზე შესდგა სიღნაღის საბჭოთა მუშაკების კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო სამასი წევრი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) ახალი სატარიფო პოლიტიკა და 2) საურთიერთო კასის მნიშვნელობა. მოხსენებას აკეთებს სრულიად საქართველოს საბჭოთა მუშაკების კავშირის ცენტრალურ კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. ნ. ღლონტი. მომხსენებელი ვრცლად ეხება ტარიფის საკითხს. და ნათლათ უსურათებს კრებას ახალ სატარიფო პოლიტიკას. შემდეგ მომხსენებელი გადადის საურთიერთო კასის მნიშვნელობაზე, რომელსაც ვრცლათ ახასიათებს. მომხსენებელი მიმართავს კრებას და ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ეს არის მუშათა და გლეხთა ხელის უფლება, რომელიც მაგრად სდგას მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. თანამომხსენებლათ გამოდის სიღ. საბ. მუშაკთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ლალაზიძე, რომელიც განმარტავს საკითხის მნიშვნელობას და უსურვებს საბჭოთა ხელის უფლებას მეტ ენერგიას მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მოხსენების შემდეგ შემოვიდა მრავალი შეკითხვები, რომელზედაც ამხ. ღლონტი ხძლევს დამაკმაყოფილებელ პასუხს. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება აღფრთოვანებით ეგებება საბჭოთა ხელის უფლების მიერ მიღებულ ზომებს ტარიფის სფეროში, და სთხოვს, საბჭოთა ხელისუფლებას მეტი ყურადღება მიაქციოს პროვინციებში პროფმოძრაობის წინ მსვლელობას, რაც გამოიხატება მომხსენებლების რეგულიარულათ გზავნაში.

სასურ. გადასახადის კამპანია

ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს 26 თებერვლის ოფიციალური ცნობების მიხედვით, საქართველოს 7 მაზრაში აკრეფილია 1922 წლის სასურსათო გადასახადის სახით 282,403 ფუთი სიმინდი, რაც შეადგენს განკვეთის 95,5 პროცენტს.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში დარჩა აუკრეფელი განაკვეთის მხოლოდ 4,5 პროცენტი, ესე იგი 13,097 ფუთი სიმინდი კამპანიის საერთო მსვლელობას თუ გავითვალისწინებთ, აკრეფა დამთავრებული იქნება ახლო მომავალში.

კამპანიის მსვლელობა.

ზუგდიდის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარიატის ცნობების მიხედვით 15-დან 25 თებერვლამდე შემოვიდა 22 წლის სასურსათო გადასახადის სახით 4,798 ფუთი სიმინდი, ხოლო სულ აკრეფის დაწყებიდან 55,577 ფუთი.

ამას გარდა მიღებულია 21 წლის გადასახადის დანარჩენი 1106 ფუთი, დამშეულთა სასარგებლოდ—142 ფ.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციის შტაბს, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროფმოძრაობას, რომელიც მჭიდროთ აკავშირებს საერთაშორისო პროლეტარიატს გაუმაძღარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციის ბელადებს: ლენინს, ტროცკის და ზინოვიევს

დ. ლ.

ბიბლიოგრაფია

მ. ფარცვანიძე. ვეტერინარია

ყველასათვის ცხადია, რომ მესაქონლეობა უდიდესი ფაქტორია საქართველოს სასოფლო-მეურნეობაში. წარმოუდგენელია ქართველი გლეხკაცი უსაქონლოდ. ყვავარი კამეჩი დღესაც სინონიმია სიმდიდრის როგორც ქართლში, ისე კახეთში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მესაქონლეობა არამც თუ არ განიცდის წინსვლას, არამედ, როგორც სასოფლო-სამეურნეო ხარისხით, ისე რაოდენობით, თანდათან მიდის უკან. უმთავრესი მიზეზი ამისთანა ანორმალობისა არის სხვა და სხვა მწვავე გადამდები სენი, რომლებიც ყოველწლიურად ხელიდან გვაცლიან აურებელ საქონელს. ჭირის გარდა, სპორადიულ უბრალო ავადმყოფობების დროსაც კი ჩვენი გლეხ-კაცი უმწეოა. ჩვენ გლეხ-კაცს არავითარი ელემენტარული ცოდნა არ მოეპოვება ვეტერინარიაში. ან საიდან უნდა ჰქონდეს ეს ცოდნა, რომ ამ დარგში, მე-18 საუკუნის აქეთ, არ დაწერილა ერთი უბრალო წიგნაკიც კი. მ. ფარცვანიძემ გასტეხა ნავსი და ამ მოკლე ხანში გამოუშვა ქართულ ენაზე წიგნი „ვეტერინარია“. წიგნი დაწერილია მშვენიერ მდაბიო ენით (გარდა ზოგიერთ პროვინციალიზმებისა) და იმავე დროს სრულებით შეესაბამება თანამედროვე ვეტერინარულ მედიცინის მიხწევებს. წიგნში მოთავსებულია საკუთარი დაკვირვებანიც ჩვენი ქვეყნის პირობების მიხედვით. მართალია, სავეტერინარო განყოფილება ახმეტელაშვილის ხელმძღვანელობით არ იშურებს არც ენერგიას და არც ხარჯებს, რომ მინიმუმამდი დაიყვანოს ავადმყოფობების მიერ გამოწვეული საქონლის დანაკლისი, მაგრამ რას გახდება 2—3 ვეტერინარი მთელ მაზრაში. საჭიროა ჩვენმა შეგნებულ მა მეურნეებმა მიიღონ ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა. ამისთვის კი სხვათა შორის საჭიროა, რაც შეიძლება მეტის რაოდენობით გავრცელდეს ჩვენს მეურნეთა შორის ფარცვანიძის დასახელებული შრომა. ვიმეორებ, ფარცვანიძის „ვეტერინარია“ სასიხარულო მოვლენაა ჩვენ სამეურნეო ცხოვრებაში და საჭიროა მიექცეს მას სერიოზული ყურადღება. წიგნი სუფთადაა გამოცემული და იაფადაც ღირს.

პროვინციაში

ანტირელიგიური პროპაგანდა რაჭის მაზრაში.

იანვრის ბოლომდე რაჭის მაზრის მნიშვნელოვან თემებში ფართო მაშტაბით ჩატარებულ იქნა კამპანიები: 1. სარწმუნოების და სამღვდელოების, 2. ამიერ-კავკასიის ფინანსიური მდგომარეობის და 3) ჩვენი კოოპერატიულ პოლიტიკის შესახებ. ყველა მიტინგებზე საერთოდ გამოაშკარავდა, რომ სამღვდელოება და სარწმუნოება ხელს უწყობდა ხალხის დამონავებას გონებრივად და ეკონომიურად; ეკლესია ჩამოშორდა სახელმწიფოს, შემოღებულ იქნა სახელმწიფოებრივი აღნუსხვა (რეგისტრაცია), რის შემდეგ ხალხი რამოდენიმეთ დარწმუნდა, რომ საწყალ ხალხს შეუძლია ცხოვრება, რომ ეკკლესია,—„ღვთის სახლი“ მისი მოსამსახურეთა შემოსავლის წყარო ყოფილა, რომელიც არის მათივე მშრომელთა ოფლით აგებული. ხალხს, როგორც ამ მოსამსახურეებზე ისე სარწმუნოებაზე გული ასცრუებიათ, რასაც ამტკიცებს მიტინგებზე გამოტანილი რეზოლიუციები იმის შესახებ. რომ ისინი მზათ არიან სადაც კი მოსახერხებელი და სასარგებლო იქნება ეკკლესიები—„ღვთის სახლები“ გადააკეთონ კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათ. ამით აღშფოთებულ სამღვდელოებას ხალხი ღიმილით შეჰყურებს და ეუბნება: „რაც აქამდე გვატყუეთ გეყოფათ, თქვენ მანამდე იყავით ჩვენი მოციქული ღმერთთან, სანამ გაძღევდით და გაკმაყოფილებდით, ეხლა კი შეგინახოთ იმათ, ვისაც უნდიხართ; ჩვენი ღარიბი მოძმეები განთავისუფლებულნი არიან გადასახადიდან და თქვენ კი მიდიხართ და უკანასკნელ ლუკმას აცლით ხელიდანო“. ჩვენი სიტყვება ასეთია: „შორს ჩვენგან სარწმუნოებრივი თვალთმაქცობა და გაუმარჯოს ნამდვილ, ღია, საღ აზროვნებას და შეხედულებას“. ასეთი სიტყვები მალამოსავით ხვდება ხალხს გულზე. მუშა-გლეხებმა გადასწყვიტეს შექმნან ისეთი პირობები, რომ ეს მატყუარა ხალხი ერთხელ და სამუდამოთ ჩამოიშორონ და იძულებული გახადონ ჩაებან პატიოსან შრომაში. მოხსენებას ფინანსიური მდგომარეობის და კოოპერატიული პოლიტიკის შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, ყველა აღტაცებით მიეგება და ერთხმად დაადგინეს, რომ მზათ არიან ყოველნაირათ ხელი შეუწყონ მთავრობას ხსენებულ დარგებში ყველა მის ამოცანების ცხოვრებაში გატარებას.

მატყუარების გასამართლება.

კომპანიების დასრულების შემდეგ პოლიტ-განათლების განყოფილებაში 5 თებერ. შემოვიდა განცხადება მოქალაქეთა ჯგუფიდან, რომელშიდაც მოითხოვდენ სარწმუნოების და სამღვდელოების საჯარო გასამართლებას. ამ განცხადების მიხედვით იქნა შემუშავებული საბრალმდებლო ოქმი; დაინიშნა სასამართლოს შემადგენლობა, როგორც პარტიული ისე უპარტიო პირებისაგან. 9 თებერვალს შესდგა სასამართლოს სხდომა, რომელმაც ბრალმდებელის და დამცველების სიტყვების შემდეგ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: დამტკიცებულად ჩაითვალოს მოქალაქეთა მიერ წამოყენებული ყველა ბრალდებები სარწმუნოებაზე და მის მსახურებზე (მღვდლებზე): 1. სარწმუნოება და ეკლესია როგორც იარაღი გაბატონებული კლასების ხელში მშრომელი ხალხის დასამონავებლად დაგმობილ და უარყოფილ იქნეს საბოლოვოთ, როგორც უსაშინელესი მტერი მშრომელი ხალხის და მოზარდ თაობის.

2. სარწმუნოების მსახურთ სამღვდელოებას, როგორც ცრუმორწმუნოების გამავრცელებელს გაკრეჭა, ხოლო ისეთები, რომლებიც არ მოისურვებენ გაკრეჭას და სამართლიანობის გზაზე დადგომას ჩათვლილ იქნან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს უღირს წევრებათ.

ვ. მ.

ქალაქ სურამის 1-ლი საბჭოთა საავადმყოფო

ქ. სურამის 1-ლი საბჭოთა საავათმყოფო თავისი შენობებით, საჭირო საგნებით, და სამედიცინო იარაღით დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელ ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციისათვისაც.

მართლაც, წინათ, ესე მრავალ შენობებიდან შემდგარი საავადმყოფო ემსახურებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ ამიერ-კავკასიას.

ეს საავათმყოფო შესდგება ორ დიდ ორ-სართულიან აგურის შენობიდან, რომელიც შეიცავს 50-დე ოთახს და მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის თანახმად, ოთხ გრძელ ერთ სართულიან შენობიდან, 13 საშუალო ზომის ერთ სართულიან აგურის შენობიდან და 9 მცირე სახლიდან, სულ არის 27 შენობა, აქვს კარგი მოზრდილი ეზო, ექვს დესეტინამდე სივრცით, შემოღობილია ხის და მავთულის ღობით.

საავადმყოფოს პირველ საჭირო ბარაკების გარდა, აქვს სადეზინფექციო კამერა განცალკევებულ შენობაში სახოლერო ბარაკი, გადამდებ სენის განყოფილება, სამშობიარო ნაწილი, ცალკე შენობებში ინვენტარის საწყობი, თეთრეული, აბანო, სამრეცხაო, ფურნე, საყინულე, სურსათ-სანოვაგის საკუჭნაო და სხვა. ერთი სიტყვით აღნიშნული საავადმყოფო მდიდარია ყოველივე მოწყობილობით და ყოველ საჭირო საგნებით დაახლოვებით 150 კაცი ავადმყოფისათვის.

მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, დღეს იხმარება მხოლოდ ორი-სამი შენობა, დანარჩენი 23 შენობა ცარიელია, არის 20—25 ავადმყოფი, ორი ექიმი და ათამდე თანამშრომელი და ეს ყველანი იმ დროს, როდესაც დიდი ქალაქებში მაგ. თბილისის საავათმყოფოები სავსე არიან მრავალი ავადმყოფებით. სურამის საავათმყოფო კი თითქმის ცარიელია. ამ გარემოებას ვისგანაც ჯერ არს დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება.

ავადმყოფები უნდა იგზავნებოდენ ქ. სურამში გამოსაკეთებლათ, დიდი ქალაქების საავადმყოფოები განტვირთული უნდა იქნან დაუყოვნებლივ და სურამის საავადმყოფო სათანადო კომისარიატმა უნდა აიღოს თავის ხარჯზე

კოტე ქურდევანიძე.

ბორჯომი

20 თებერვალს მუშათა კლუბში შესდგა მრავალრიცხოვანი მუშათა კრება.

კრებას ხსნის პარტკომის მდივანი ამხ. ა. სიამაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ დღეს გვესტუმრა ს. ა. კ. კ. ცეკას მდივანი ამხ. გ. დევდარიანი და რ. ა. კ. კ. ამიერ-კავკასიის სა-

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება

ამხ. მუშებს.

კითხვა: აგებენ თუ არა პასუხს კერძო დამქირავებლები, სახელმწიფო და კერძო წარმოებანი და დაწესებულებანი კოლექტიურ ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის?

პასუხი: ყველა დამქირავებლები,—სახელმწიფო და კერძო წარმოებანი და დაწესებულებანი, კოლექტიურ ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის პასუხს აგებენ შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, რომლის დადგენილება ორივე მხარისთვის სავალდებულო და სავალდებულოა. (იხ. შრომის კომ. დადგ. 27 ნოემბრის—16 დეკემბრის 1922 წლ. პარაგრაფების 24 და 26).

კითხვა: ვინ არის კოლექტიური ხელშეკრულების პირობათა დამქირავებელთა და დაქირავებულთა სწორად ასრულების უახლოესი მეთვალყურე?

პასუხი: კოლექტიურ ხელშეკრულების პირობათა სწორად ასრულების მეთვალყურედ ითვლება საკონფლიქტო-დამფასებელი კომისია.

კითხვა: ვისგან შესდგება საკონფლიქტო-დამფასებელი კომისია?

პასუხი: საკონფლიქტო-დამფასებელი კომისია შესდგება დამქირავებელთა დაქირავებულთა სრულუფლებიან წარმომადგენლებისაგან თანასწორ რაოდენობით.

კითხვა: რა საფუძლით წყდება დამქირავებელთა და დაქირავებულთა შორის რეგისტრაციაში გაუტარებელ ხელშეკრულებებისაგან წარმომდგარი დავას?

პასუხი: დავა, რომელსაც ექნება ადგილი დამქირავებელთა და დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა შორის კოლექტიურ ხელშეკრულების რეგისტრაციაში გაუტარებლობის ნიადაგზე წყდება არა ამ (აღნიშნულ) ხელშეკრულების მიხედვით, არამედ არსებული შრომის კანონმდებლობის წესით და ძალით.

ს. პ. კ. ს. **იურიდიული ბიურო.**

მეთამბაქოენი და საბჭოთა ხელისუფლების დღესასწაული.

ამა წლის 19 თებერვალს შესდგა ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს და „ასანთის“ ქარხნების შეერთებული საზოგადო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავი და 2) წითელი არმიის ხუთი წლის თავი. აღნიშნულ საკითხების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხაცკევიჩმა.

მომხსენებელმა მკაფიოდ და ნათლად განუმარტა მსმენელებს საქართველოს გასაბჭოების დიადი მნიშვნელობა. მან აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი მიღწევანი, რომლის ერთად ერთი მიზანია მუშათა და გლეხთა ბედნიერება და მათი კეთილდღეობა. შეეხო რა შემდეგ იმ თავგანწირულ, სისხლიან, მაგრამ გამარჯვებითი ბრძოლას, რომელსაც ეწეოდა წითელი არმია დღიდან მისი დაარსებისა ხუთი წლის განმავლობაში მუშათა ხელისუფლების განსამტკიცებლად, ამხ. ხაცკევიჩი მოუწოდებს მუშებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა წითელ ჯარის დღესასწაულში. დასასრულ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. ხაცკევიჩისა საქართველოს გასაბჭოების ორი წლის შესახებ, ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს და „ასანთის“ ქარხნების მუშების შეერთებული კრება წყევლა-კრულვით იხსენიებს მენშევიკების მოღალატურ მოქმედებას, რომელნიც ახლაც აგრძელებენ თავის დამღუპველ ბანდიტურ მუშაობას მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ; მოითხოვს შეუბრალებელ ბრძოლას მოღალატეების წინააღმდეგ; დაჟინებით იმეცადინებს; რათა სძლიოს ის ეკონომიური ნგრევა, რომელიც გვხვდა წილად მენშევიკებისაგან, და არ დაიშურებს თავის ძალღონეს საქართველოს მუშურ-გლეხური წითელ არმიის გასაძლიერებლად, ჩვენი შინაური და გარეშე მტრების ასალაგმავად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში!

გაუმარჯოს ჩვენს განმანთავისუფლებელ წითელ ჯარს!

გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკათა დიდ კავშირს!“

დღესასწაულში აქტიური მონაწილეობის გარდა, კრება ერთხმად ადგენს გაიღოს თითოულ მუშამ წითელი არმიის საჭიროებისთვის 250 ცალი პაპიროსი.

ინფ. კორ. მუშა **ალი.**

ღირსეული ჯილდო

მიმდინარე წლის 18 თებერვალს შრომის სასამართლოს სესიამ გაარჩია რესტორან „ოქროს ლუზა“-ს პატრონ ალექსანდრე ეგნატაშვილის საქმე. ამ უკანასკნელს ედებოდა შემდეგი ბრალდება: 1) რესტორანში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა შეუბრალებელი ექსპლოატაცია. აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეთ ეს უწყალო მუქთახორა ობობა-ვაჭარი ამუშავებდა დღეში 11—12 საათის განმავლობაში და ვინაიდან ისინი პროფკავშირის წევრები არ იყვნენ, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდენ მათი სისხლის მსმელ პატრონს და იყვნენ მისი მონა-მორჩილი; 2) შრომის ბირჟის გარეშე მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა და სხვა.

სასამართლოს სესიის მიერ დაკითხულმა ეგნატაშვილმა თავის-თავი ბრალდებულად არ სცნო. ამ უკანასკნელმა მიმართა თავის ძველებურ ვაჭრულ ხრიკებს და სიცრუეს, მის მიერ გაძვალტყავებულ მუშებს ფიქტიურად დაუამხანაგდა, გახადა ისინი თავისი „ახლო ნათესავებად“, რომლებიც ვითომდა მის მიერ არიან გაზრდილნი, მუშაობენ მასთან (ეგნატაშვილთან). როგორც სწორი-სწორთან და არიან სრულუფლებიანი მონაწილენი რესტორანის მოგებისა და ზარალისა.

ამით ამ გაუსწორებელ კაცი-ჭამია ვაჭარს უნდოდა სასამართლო მოეტყუებინა და თავის-თავი პატიოსან და ქველმოქმედ მოქალაქედ გამოეყვანა. მაგრამ ნათქვამია „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“-ო და მატყუარას მისმა სიცრუე-სიყალბემ ვერ უშველა. მოწმეთა მთელმა რიგმა ცხადად და კატეგორიულად დაასაბუთა და დაადასტურა ეგნატაშვილის რესტორანში არსებულ აუტანელი შრომის ექსპლოატაცია და მუშა-მოსამსახურეთა თვითნებობითი, შრომის ბირჟის და კავშირის გარეშე მიღება და დათხოვა და სხვა.

ყველა ამ ყოველმხრივ დასაბუთებულ ფაქტებისა გამო, მოქ. ეგნატაშვილი, როგორც შრომის კანონის შეგნებულად და სისტემატიურად დამრღვეველი და გაუსწორებელი ექსპლოატატორი, სასამართლოს მიერ დაჯარიმებული იქნა ხუთას მანეთი ოქროთი და თუ აღნიშნული თანხა მან ვერ შეიტანა დანიშნულ ვადაზე, ის შეიქნება „გამასწორებელ სახლის“ ბინადრად მთელ ექვსი თვის განმავლობაში.

აი, როგორ სამართლიანად და მასთან სასტიკად სჯის პროლეტარული სასამართლო მშრომელთა მასის და მუშა-ხელის დაუნდობელ ექსპლოატატორებს.

სახკვებკავშირის ადგკომის მდივანი

ერ. რევია.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში.

მიმდინარე წლის 20 თებერვალს აღნიშნულ სამმართველოში შესდგა აქაური მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებას ესწრება 2,000 მუშა-მოსამსახურე.

დღის წესრიგი შემდეგია: 1) წითელ არმიის არსებობის 5 წლის თავის დღესასწაული; 2) საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავი და 3) წითელ არმიის სასარგებლოდ მუშა-მოსამსახურეთა დღიური ხელფასის გადადების შესახებ.

წითელ არმიის ხუთი წლის თავის დღესასწაულობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კრუგლიაკოვი, რომელიც განუმარტავს კრებას იმ დიად მიზნებს, რომელსაც ხუთი წლის განმავლობაში ემსახურებოდა თავდადებულად ჩვენი გმირული და ძლევა-მოსილი წითელი არმია. მისი უზენაესი პრინციპები და ამოცანები, რომელიც მდგომარეობს მსოფლიოს გასაბჭოებაში, ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და აღნიშნულ მისიას წითელი ჯარი ბრწყინვალედ შეასრულებს და მიიყვანს მუშათა კლასს სამუდამო გამარჯვებამდე, თუ კი ამხ. მუშები თავის მხრივ გაუწევენ მათ თავისუფალ შრომის მტკიცე და შეუპოვარ დარაჯს—წითელ არმიას ყოველგვარ დახმარებას. „ჩვენდა სასიხარულოდ“, ამბობს ამხ. კრუგლიაკოვი „მუშებსა და წითელარმიელებს შორის არის მჭიდრო კავშირი, ნდობა და ერთსულოვნობა და სწორედ ეს არის უტყუარი საწინდარი მშრომელ მასის სამუდამო გამარჯვებისა!..“ და სხვა...

კრება დიდი ტაშით ესალმება ამხ. კრუგლიაკოვს და მისი მოხსენებისა გამო გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. კრუგლიაკოვის მოხსენება წითელ არმიის არსებობის ხუთი წლის თავის შესახებ, ამიერ-კავკ. რკინის გზის სამ. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება გულმხურვალედ მიესალმება წითელ მეომართ, რომელნიც 5 წლის განმავლობაში მედგრად, მტკიცედ და შეუპოვრად იდგნენ მუშათა მასის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე ყველა შავ კონტრრევოლიუციონურ ბანდების და მტაცებლურ მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ძლევამოსილი წითელი ჯარი ახლო მომავალში მშრომელ მასების დახმარებით სოციალისტურ რევოლიუციის წითელ დროშასააფრიალებს მთელ მსოფლიოს განუზომელ გულ-მკერდზე.

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას! გაუმარჯოს მშრომელ ხალხის და წითელი ჯარის მჭიდრო და ძმურ კავშირს!...

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს—კომუნისტურ ინტერნაციონალს!“

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ლემანი. ამხ. ლემანი მიუთითებს კრებას საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის მოღვაწეობის მთავარ მომენტებზე, რომელნიც თავის შედეგებით ყოველ მხრივ ნაყოფიერი და მიზან-შეწონილია. მასთან მომხსენებელი მოუწოდებს კრებას, რათა ის ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის იუბილეს საზეიმო დღესასწაულს.

ამხ. ლემანის მოხსენებისა გამო მიღებულ რეზოლიუციაში, კრება უცხადებს სრულ ნდობას საბჭოთა მთავრობას მისი მოქმედების ყოველ დარგში და უსურვებს მას სამუდამო გამარჯვებას სამეურნეო და სახალხო განათლების ფრონტებზე... კრება აგრეთვე ესალმება მსოფლიო რევოლიუციის მესაჭეს, ამხ. ლენინს და უსურვებს მას დღეგრძელობას...

ორივე რეზოლიუცია კრების მიერ მიღებულ იქნა ერთხმად და დიდ ოვაციით.

წითელ არმიის სასარგებლოდ დღიური ხელფასის გადადების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ზ. კალანდია, რომელიც თავის სიტყვაში მოუწოდებს კრებას, რათა მან დაუზარებლად და კეთილ სურვილით გადადოს წითელ მეომართა სასარგებლოდ თავის თვიურ გასამრჯელოდან დღიური ხელფასი, როგორც ეს ჰქნეს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების და საბჭოთა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა.

კრება სავსებით იზიარებს ამხ. კალანდიას აზრს და ერთხმად ადგენს—გადიდოს წითელ არმიის სასარგებლოდ მუშა მოსამსახურეთა დღიური ხელფასი, რის შემდეგ კრება იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

ინფ.-კორ. **ვახილიევი.**

ოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩაპლინი (მხურვალე ტაშის ცემა).

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გ. დევდარიანი, მდივნათ—ბერეზოვსკი.

საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ ფართო და ფრიად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. გ. დევდარიანმა (ქართ.) და კ. ჩაპლინმა (რუს.).

საქმიანმა და შესანიშნავმა მოხსენებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ერთხმათ და დიდი აღტაცებით მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: კრება მხურვალეთ მიესალმება რუსეთის მუშათა კლასს, რომელმაც მოახდინა ოქტომბრის დიადი რევოლიუცია, ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ რურის ოლქის ოკუპაციის გამო; ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში შექმნილ ეკონომიურ კრიზისიდან და პოლიტიკურ რეაქციიდან ერთად-ერთი გამოსავალია სოციალისტური რევოლიუცია, პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა მთავრობის საქმიანობას და პოლიტიკას სრულიათ ვიწონებთ; მოვითხოვთ სასტიკ დასჯას მუშურ საბჭოთა მთავრობის ბანდიტ-მტრებისას, რომლებიც არღვევენ აღმშენებლობითი ხანის მშვიდობიან ცხოვრებას.

ძირს ყველა ბურჟუაზიული მთავრობანი და მისი მაჩანჩალა სოციალ-გამცემელთა პარტიები!

გაუმარჯოს სოც. საბ. რესპუბლიკების ძმურ და ძლიერ კავშირს!

გაუმარჯოს კომინტერნს!

გაუმარჯოს საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკას!

ფ. ფრან—ლი.

ხარაგოული

სადგურ ხარაგოულის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხ. ამხ. კ. ფუტკარაძისა რკინის გზელთა კავშირის 5—წლის იუბილეს შესახებ, ჩვენ, სადგურ ხარაგოულის მუშა-მოსამსახურეები ფიცსა ვსდებთ გავაასკეცოთ ჩვენი მუშაობა და ფოლადისებური ენერგიით ხელი შეუწყოთ ჩვენი ტრანსპორტის აღორძინებასა და განვითარებას“. გაუმარჯოს რკინის გზელთა წითელ კავშირს! გაუმარჯოს ასეთსავე კავშირებს მთელ მსოფლიოში! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის ბელადებს!“

პლატონ კიკნაძე.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

1917 წლის მარტიდან ამავ წლის აგვისტომდე მე ვირიცხებოდი რ. ს. დ. მუშათა პარტიის წევრად, შემდეგ კი დავრჩი პარტიის გარეშე, ვინაიდან არ ვიცოდი თუ ვის მხარეს იყო სიმართლე, ვის უფრო აინტერესებდა მუშათა ბედ-იღბალი. ორი წლის მენშევიკების ბატონობამ, და ორი წლის საბჭოთა ხელის უფლების და კომუნისტური პარტიის შემოქმედებითი მუშაობამ საქართველოში, დამარწმუნა, რომ, ერთად ერთი ჭეშმარიტი დამცველი მშრომელთა ინტერესებისა. არის მხოლოთ კომუნისტური პარტია, რომელსაც მტკიცედ უჭირავს, მშრომელთა სრული განთავისუფლების დროშა, ამიტომ, დღეის რიცხვიდან მე აღარ ვთვლი ჩემს თავს უპარტიო მუშად, არამედ ვარ თანამგრძნობელი კომუნისტური პარტიისა და მთელი ჩემი მუშური შეგნებით ვეცდები ხელი შეუწყო მის რთულ, მაგრამ, სასახელო მუშაობას მშრომელთა საკეთილდღეოთ.

გიგა ჯიქია.

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ „კომუნისტი“-ს უახლოეს ნომერში დაუთმოთ ადგილი შემდეგს: ამ განცხადებაზედ ხელის მომწერნი, რიცხვით შვიდი კაცი, მცხოვრებნი საჯამისერის თემში (ოზურგეთის მაზრა) ვაცხადებთ საქვეყნოთ:

ჩვენ, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები, ვწყვეტთ სამუდამოდ მენშევიკურ ორგანიზაციასთან ყოველივე კავშირს, როგორც ლეგალურს, ისე არა ლეგალურს.

მასთან ერთად ყოველთვის და ყოველგან, როგორც სიტყვით, ისე საქმით დავიცავთ საბჭოთა ხელისუფლებას.

მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები:

ლადიკო მ. ყენია, თეოფანე ლ. თევზაძე, სიმონ ზაქარეიშვილი, ლუკა ი. ძნელაძე, ვასილ ივანეს ძე ხუნდაძე, ვალოდია ნ. ქორიძე, სამსონ თ. ჭკუასელი.

საჯამისერი, 1923 წ. 21 თებერვალი.

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ყ

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

—საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი ა. წ. 24 თებერვლიდან იწყებს პარტიული ბილეთების დარიგებას.

პარტიული ბილეთის მიღება შეიძლება მე-4 რაიკომში ყოველ დღიურად დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე მხოლოდ ინდივიდუალურად. პარტიული ბილეთის მიღებისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

1) იაჩეიკის მდივნის წერილობითი ცნობა, რომ ესა თუ ის პირი ირიცხება ამ იაჩეიკაში და წესიერად ასრულებს პარტიულ მოვალეობას.

2) ქვითარი საწევრო გადასახადის შემოტანის შესახებ 1922 წლის დეკემბრამდე ჩათვლით.

პარტიული ბილეთის მიცემა წარმოებულ იქნება შემდეგი წესით:

1) პარტიის წევრები, რომლებიც ირიცხებიან იაჩეიკებში: № 1 სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის სტამბა, № 2—მე-3-ე სტამბა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, № 3—1 და მე-5-ე სტამბა და ლიტოგრაფია, № 4 მე-2-ე სტამბა (ყოფ. ც. კ.), № 5—სახელმწ. ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიცია—პარტიულ ბილეთებს ღებულობენ ა. წ. 24 თებერვალს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 5 დან 8 საათამდე, 2, № 6—„ლენინის“ სახელობის თამბაქოს ქარხანა (ყოფილი ბოზარჯიანცის ქარხ.), № 7—„კარლ მარქსის“ სახელობის თამბაქოს ქარხანა (ყოფ. საფაროვის), № 8—ელექტრონის ძალის სამმართველო, № 9—ქალაქის მე-2-ე ფურნე, № 10—ცეცხლის მქრობელი რაზმი—ა. წ. 26 თებერვალს იმავე საათებში.

3) № 11—ტყავეულობის დარგში მომუშავეთა კავშირი, № 12—სახ ლხო კავშირი, № 14—საქართველოს საგანგ. კომისიის გუნდები, № 15—ამიერ-კავკ. საგ. კომისია, № 16—ცენტრალური პარტიული სკოლა—ა. წ. 27 თებერვალს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

4) № 17—პოლიტეხნიკუმი და მუშათა ფაკულტეტი, № 18—ტფილისის ქალაქის ალმასკომი, № 19—საგანგებო დანიშნულების ნაწილები, № 20—ცეკავშირი, № 21—სახ. მეურნ. საბჭო, № 22—თამბაქოს ტრესტი, № 23—ცენტრალური სატრანსპორტო განყოფილება, № 24—ქალაქის მილიცია—28 თებერვ ლს იმავე საათებში.

5) № 25—სახელმწ. ოპერა, № 26—ქუჩის ბავშვთა სახლი, № 27—იუსტიციის სახ. კომისარიატი და უზენაე ი და აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალები, № 28—ამიერ-კავკ. სახ. კომისართა საბჭო და საქართველოს სახ. კომისართა საბჭო, № 29—მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი—1 მარტს იმ ვე საათებში.

6) № 30—სასურსათო სახ. კომისარიატი, № 31—შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი, № 32—ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი, № 33—ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებ. საქართველოში, № 34—ამიერ-კავკ. საგარეო ვაჭრ. სახ. კომისარიატი და ამიერკ. სახელმწ. ვაჭრ. სამმართველო—2 მარტს იმავე საათებში.

7) № 36—განათლების სახ. კომისარიატი, № 37—ცენტროკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კანტორა, № 8—ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომ სარიატი, № 39—ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი—3 მარტს იმავე საათებში.

8) № 40—ამიერ-კავკ. სოც. ფ. ს. რესპ. საგარეო საქმეთა სახ. კომ სარიატი, № 41—ამიერ-კავკ ს. ფ. ს. რესპ. ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებ. საქართველოში და № 42—საგ ნგებო განყოფ ლება № 4—4-მარტს იმავე საათებში.

მკვრივლების, სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს მუშათა ფაკულტეტის იაჩეიკების წევრები, რომელნიც გადასხული არიან მე-2-ე რაიონში—პარტიულ ბილეთს ღებულობენ ა. წ. 5 მარტს. პარტიის წევრებს, რომელნიც ვერ მიიღებენ პარტიულ ბილეთებს აღნიშნულ ვ დაში, ბილეთები მიეცემათ უკანასკნელ რიგში.

რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ხ ა ც კ ე ვ ი ჩ ი.**

— მე-4 რაიონის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. მამულოვს (მბეჭდავი), რუხაძეს, ბ დილევს (წითელ არმიელთა უნ-ტი), არშს (ოკას სან. გ. განმანათლ. კომ.), ცარმღდოვს (დარაჯების სექცია) და ელენე მარუკიანს შემოიარონ რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგში: 1) მოხსენება სრულ. რუსეთის პროფკავშ. ცენტრ. საბჭოს ამიერ-კავკასიის საოლქო ბიუროს პლენუმის შესახებ, 2) საბინაო განყოფილების ლიკვიდაციის შესახებ, 3) სახელმწიფოებრივ მომგებიან სესხის შესახებ, 4) მიმდინარე საქმეები განსახილველ საკითხებ-ს მნიშვნელოვანობის გამო, პლენუმის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. სასურველია ფაბრიკა ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების წევრთა დასწრება.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **გ უ გ უ შ ვ ი ლ ი.**

მარქსისტულ წრეების სამეცადინეო ნუსხა.

1923 წ. 26 თებერვალიდან—4 მარტამდე.

— სამშაბათს 27 თებერვალს და შაბათს 3 მარტს საღამოს 5 საათზე საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტის შენობაში შესდგება ტფილისის მაზრის განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა (ჩონტუ) წრის კრება. ხელმძღვანელობს ამხ. გალკინი.

— ოთხშაბათს 28 თებერვალს საღამოს 7 საათზე „სკოლის გარეშე მუშაკთა“ ბინაზე შედგება სკოლის გარეშე მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვანელობს ამხ. პენიაკოვი.

— ოთხშაბათს 28 თებერვალს და შაბათს 3 მარტს საღამოს 6 საათზე შე დგება მბეჭდველთა წრის კრება. ხელმძღვანელობს ამხ. მედვედევი.

ს. კ. პ. ტ. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

განცხადებები

დღეს 27 თებერვალს

რუსთაველის თეატრი

—ლონდა—

ცისფერი ოზოგა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრ. 220—1—1

დღეს, 27 თებერვალს,

სახელმწიფო ოპერა

ურიის ქალი

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

კრ. 221—1—1

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ტყავ-მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 მარტს, ტყავ-მთავარი კომიტეტის შენობაში (კომუნალური ქ. № 82 მთავარი კანტორა ყოფ. ადელხანოვისა)

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

საჯარო ვაჭრობა

1000,000 ფუთი მუხის ქერქის დასამზადებლათ

შემდეგი რაიონებიდან: იორა-მარტყოფის, ზაალაზნის, აჯამეთის და ბელი-კლიუჩის.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველები აწვდიან წერილობით განცხადებას გადახდილი 20.000 მან. ღირებულ საღერბო მარკით დახურულ კონვერტებში შემდეგი მისამართით: „მუხის ქერქის დასამზადებელ ვაჭრობას“.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება მომარაგების გამგესთან ყოველ დღე გარდა უქმისა დილის 10-ან ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდე.

კრ. 218—3—1

საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო

განყოფილებამ

გამოსცა და იყიდება ამავე განყოფილების ექსპედიციაში (რუსთ. პრ. № 22)

შემდეგი ლიტერატურა ქართულ ენაზე:

1.	**ბოგდანოვის**—მოკლე კურსი ეკონომიურ მოძღვრებათა	45 კ.
2.	**ბოგდანოვის**—დაწყებითი კურსი პოლიტ. ეკონომიისა	20 კ.
3.	**ტროცკი**—იმპერიალიზმისა და რევოლიუციის შუა	20 კ.
4.	**კ. მარქსი**—საქირაო შრომა და კაპიტალი	8 კ.
5.	**ბლონინა**—მუშა-ქალი ინტერნაციონალში	8 კ.
6.	**სტეპანოვი**—ნარკვევი რელიგიურ რწმენის განვითარებიდან	10 კ.
7.	**სასნოვსკი**—რასეია	3 კ.
8.	**ბუხარინი**—სკოლა და ეკლესია საბჭოთა რესპუბლიკებში	2 კ.
9.	**ნევსკი**—დღესასწაულები ქრისტიანული და მუშურ-გლეხური	3 კ.
10.	ჟურნალი—კომუნიზმის დროშა № 1.	10 კ.
11.	ჟურნალი—კომუნიზმის დროშა № 2—3.	30 კ.
12.	**ტროცკი**—ოქტომბრის რევოლიუცია	15 კ.
13.	**ჩიჩერინი**—ნარკვევი ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ისტ.	10 კ.
14.	**ლილინა**—კომუნისტური ოჯახიდან კომუნისტურ საზოგად.	8 კ.
15.	**ზინოვიევი**—მე-3 კომინტერნი	6 კ.
16.	**ბატურინი**—ნარკვევი ს. დ. ისტორიისა რუსეთში.	70 კ.
17.	**სტეკლოვი**—ისტორია მუშათა მოძრაობისა	70 კ.
18.	**პავლოვი**—წარმოშობა მუშა კლ. რუსეთში და მისი პირვ. ნაბიჯ.	10 კ.
19.	„ ქვეყნიერების გაჩენა განვითარება	10 კ.
20.	„ წესდება რუსეთის კომუნისტურ პარტიისა.	1 კ.
21.	**ფულუკიძე**—ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან	10 კ.
22.	**მახარაძე**—მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში.	10 კ.

აღნიშნული ლიტერატურა შეუძლიან შეიძინოს ყველა პარტიულ, პროფესიონალურ, სამხედრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს 30 პროცენტის დათმობით.

საქ. კომპარტიის სააგიტ.-საპროპ. განყ. **ექსპედიცია.**

(კრ. 216 3—2)

საერთო განათლ. კურსებზე მე-5, მე-6, მე-7 კლას ტეხნიკუმში, შრომის სკოლაში, სამხედრო სასწავ., მუშათა ფაკულტ., საზებიო ინსტიტუტში (ქალებს) მომავალ სამოსწავლო წლისათვის

ვამზადებ მოწაფეებს

და ვასწორებ ჩამორჩენილებს მათემატიკაში, გერმანულ, რუსულ ენებში—ვიძლევი აგრეთვე ცალკე გაკვეთილებს **ლათინურ ენაში,** პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვა 9—1 საათ. და 3—6 საათ.

(172—3—3)

ქ. ტფილისის მე-10-ე რაიონის სახალხო სასამართლო

(ტურგენევის ქუჩა № 4) იწვევს პეტრე თეოდორეს ძე სტრელკოვის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების მემკვიდრეებს, ამის გამოქვეყნებიდან ორი თვის ვადაში თავის უფლების წარმოსადგენად.

181 1—1

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის

პრეზიდიუმი

წინადადებას აძლევს ყველა საბჭოთა და
და სამხედროსა), რომელთაც უკავიათ ალმასკომის შ ე ნ ო ბ
დ ა რ ა ბ ე ბ ი, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა
დაში დასდონ სათანადო საიჯარო ხელშეკრულებანი ალმასკომ
ლურ განყოფილებასთან მათ მიერ დაკავებულ შენობებზე და

ალმასკომის მიერ გაუქმებულია ყველა ხელშეკრულებანი
აღნიშნული დაწესებულებათა მიერ კერძო პირებთან და წინადა
ვა ამ უკანასკნელთ ზემოთ მოხსენებულ ვადაში დასდოს ახალი
ლება კომუნალურ განყოფილებასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში
დაიბეჭდება და გაიცემა საერთო საიჯარო წესით.

კრ. 219—1—1 თბ. ალმასკომის პრეზიდ

იყიდება კარგათ მორთული

სახლი

თავისუფალი ბინებით. ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს
დოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2, 11
5—7 საათამდე.

(190—3—

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ
ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის
ხელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტ

გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური
მალარიისა შეზხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის
კაბინეთი.

იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23 (684—

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი

მედიცინის დოქტორის

ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარ
მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე
№ 22 ტელეფ. 1—44. (77—25—

ქ. თბ. მე-9 რაიონის მოსამართლე

იწვევს გარდ. ნიკოლოზ იგივე ნიკოგოს ქრისტეფორეს-ძე ლალ
კვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებ
ორი თვის ვადაზედ თავიანთი უფლებანი ხსენებულ გარდაცვალებ
ჩენილ ქონებაზედ.

ქ. თბ. მე-2-ე რაიონის სახალხო სასამარ

აცხადებს, რომ მის 20 ნოემბრის დადგენილებით შესრულებისა
ტკიცებულია გარდაცვალებულ ეკატერინე ივანეს ასულ, იგივე
ასულ შახანოვისას იგივე შიხანიანცის ანდერძი, შედგენილი ქ.
ნოტართან მ. ქართველიშვილთან 16 თებერვ. 1920 წ. რეესტრით
198—1—1 სახ. მოსამართლე

დავკარგე პირადობის ბარათი გაცემული ყოფ. სამხ
როსის მიერ და პასპორტი, გაცემული ქ
ლიციის უფროსის მიერ ივანე მამაჯანოვის სახელზე, ჩაითვალოს
ლად. (199—

დავკარგე ქორწინების მოწმობა ივანე პავლეს ძე და
ხილის ასულის ბაბუნინების სახელზე. ჩ
გაუქმებულად. (177—

დავკარგე დიმიტრი დავითის ძე ციციშვილის სახე
მული საბჭოთა მოსამსახ. კავშირის საწე
კი და უმუშევრობის წიგნაკი. ჩაითვალოს გაუქმებულად. (195—

დავკარგე მეტრიკული ამოწერილობა გაცემული ნი
სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავპარგე პასპორტი გაცემუ-ი მარიამ მამიკონიანც
ზე № 11193—13 მაისი 1922 წ. ჩაითვალ
მებულად. (201—

დავკარგე 6 კომისარიატის მიერ ოვანეს ნავასარდიან
ზე გაცემული სარეგისტრაციო ბარათი. ჩა
გაუქმებულად. (191—

დავკარგე უვადო ბილეთი და მეტრიკული მოწმობა.
მოცემულია თბილისის პოლიციმეისტრის
ლოდან ვასილ ნონიას-ძე კირვალიძის სახელზე № 4010 1907 წ.
გუქმებულათ.

დავკარგე ბილეთი სამი თვისა მოცემული ქობულეთ
ახმედის ძე ცეცხლაძის სახელზე ჩაითვალ
ულათ. (187—

დავკარგე შორაპნის მაზრის სამხედრო კომისარიატ
ბილიზაციო კომისიის მიერ, სიმონ ისაია
ძის სახელზე, სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მოწმობა
გაცემული 17 იანვარს 1922 წ. რასაც გაუქმებულათ ვაცხადებ.

დავკარგე საწევრო ბარათი საექიმო-სანიტარო
შირისა № 1793 მარიამ ბიბილურის სახ
ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დავკარგე ქ. ხონის სამასწავლებლო სემინარიის
ატესტატი, რომელიც იყო მოცემული 19
დამლევ მაისში, რასაც გაუქმებულათ ვაცხადებ. ნიკოლოზ
ორაგველიძე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო ინსპექცია

აცხადებს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მწარმოებლების საყურადღებოდ, რომ დადგენილების № 21-ის მეხუთე მუხლის დადგენილება № 22-ის მეექვსე მუხლის თანახმად, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანო—„საქართველოს სახალხო მეურნეობაში 1922 წლის ბალანსის პუბლიკაციის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1923 წლის 15 აპრილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დადგენილება № 22-ის მეექვსე მუხლში „ქვე-მუხლი 2“-ის ნაცვლად უნდა წაკითხულ იქნეს „ქვე-მუხლი 3“.

კრ. 215 3—3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-3 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.